ბრძოლის ხმა

1931 წ. ივნისი
პარიზი

№ 15

1931 — JUIN
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. საზღვარგარეთელ ბიუროსი

«L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს „ჭირისუფალნი“

საბჭოთა არც ერთ რესპუბლიკაში ბოლშევიზმის გახრწნა ისე სწრაფი ნაბიჯით არ მიდის, როგორათაც საქართველოში. მისი იდეიური გაკოტრება, პიროვნული გადაგვარება, ზნეობრივი დაცემა აქ ყველასათვის აშკარა და ნათელია. ვიღა შერჩა მას? წვრილფეხა კარიერისტები, სხვისი ოფლით სიამოვნების მაძიებელნი, თფილი ადგილების მოტრფიალენი, ჩეკის მიერ გამოჩეკილი «საზოგადო მოღვაწენი», მთელი ხროვა არალე-თარალე-სტების და გაიძვერა ვიგინდარების. ექსპროპრიაციების დიდი ოსტატი—სტალინ-ჯუღაშვილი—ქმნის თავის ამალას, თავის ყურმოჭრილ მოხელეთ თავის ზნეობრივ სახისამებრ. მის დაძახებაზე მის ირგვლივ შემოკრბენ სხვისი ქონების მტაცებელნი, მეზობლის ბუდეში კვერცხების მაძიებელნი, სხვის ჯიბეში ხელის მოფათურენი. თუ წინეთ ჯუღაშვილი თავის ხელობას იშვიათათ იჩენდა, შარაზე თავისი შაიკით ხანდახან გამოჩნდებოდა და გამვლელ-გამომვლელთ უყვიროდა «ხელები მაღლა», ახლა ამ «გენერალურ ხაზზე» მთელი სახელმწიფო გადაიყვანა და კერძო პირზე თავს დასხმა და ცარცვა მუდმივ, გარდაუვალ «პოლიტიკათ» აღიარა. საქართველოს და ამიერ-კავკასიის უკანასკნელ საბჭოთა არჩევნებზე ჩამოყალიბდა საამისო აპარატი, ყოველივე «უკლონის» გამორიცხვით, მოსკოვის უკანასკნელი ბრძანების დაუფიქრებლათ ამსრულებელნით, ჩოქი-ჩოქის და ბალი-ალობის მოხალისენით. ამ სანატრელი სუფრიდან გამოჩენილი ჩერჩეტი ცხაკაიაც კი ჩამოუშორებიათ, რაღაც წვრიმალი კინკლაობის გამო, და გეპეუს მიერ მორეკილი უცნობნი ქაქათ შემოჯდომიან საზოგადო ხაჭაპურს. ამ მრავალ-ჟამიერის ხალხს მოშორებიათ ძველი ბოლშევიკები, ოდესღაც იდეისათვის მებრძოლნი და ახლა მათივე მომტანი თაობისაგან სავსებით გარიყულნი. «ძველი გვარდიისაგან» გეპეუს დაუტოვებია ერთი პირი და ის ამ ხალხის მტერთა გუნდის შეფათ დაუყენებია. ეს პირია ცნობილი ფილიპე მახარაძე, ცნობილი თავისი წაჯექ უკუჯექობით, თავისი უხასიათობით, ნათქვამის გადათქმით, მუდმივი მოღალატეობით და გაუტანლობით. როგორიც ღვდელი ისეთი მრევლიო, ნათქვამია. როგორიცაა ფილიპე—შეფი, ისეთი მისი სამეფოს შემადგენლობა, მისი «სოვნარკომი», მისი დღევანდელი ამალა. გსურთ იცნობდეთ საქართველოს ამ დღევანდელ ბატონებს? გაიცანით მათი წინამძღვარი და ისინიც სათითაოთ გაცნობილი გეყოლებათ.

ფ. მახარაძეს საკმაოთ ფარდა ახადეს მათივე გამოცემულ წიგნში, რომელსაც ეწოდება «თვითმპყრობელობა და რევოლიუცია». აქ გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან აშკარათ სჩანს ამ დიდი შეფის დიდებული პოლიტიკური დასაწყისი. ის მიმხრობია ნ. ჟორდანიას მიერ მისთვის ვარშავაში გაგზავნილ სოციალისტურ პროგრამას, რომელსაც სახელათ ნაც.-დემოკრატიული რქმევია, სახელწოდება ალბათ ისეთივე მოსაზრებით გამოგონილი, როგორათაც კ. მარქსმა თავის «რეინის გაზეთს» გამოუგონა და ზედ დააწერა: «ორგანო დემოკრატიისა», თუმცა შინაარსი კი სოციალდემოკრატიული ქონდა. ამ ლეგალური სახელწოდებით პროგრამის ავტორს არალეგალური შინაარსი, წმინდა კლასიური პროგრამა მიუწოდებია მახარაძისათვის და მას ის ერთ კრებაზედაც კი დაუცავს (იხ. გვ. 111); მაგრამ იგივე მახარაძე ცოტა ხნის შემდეგ ჩაწერილა სულ მოწინააღმდეგე ბანაკში, «საქართველოს განმათავისუფლებელ ლიგაში», რომლის პროგრამის შედგენაში თვითონვე მხურვალე მონაწილეობა მიუღია (გვ. 112). და ასე ფ. მახარაძე მას შემდეგ მოდის ორთავიანათ, ორ ხასიათათ, მრავალ პროგრამიანათ, მზათ ხან ერთი ამოიღოს, ხან მეორე, როცა როგორც ეს მოეპრიანება. როცა ლიგა ფანტაზია იყო—ის მას სცნობდა, ხოლო როცა ის სინამდვილეთ იქცა, საქართველო განთავისუფლდა, ფილიპე მიემხრო მაშინვე საქართველოს მოწინააღმდეგეთა ლაშქარს, გადაიქცა დიდი რუსეთის მოციქულათ და მოსკოვის ჯარების შემწეობით «ურჩს» საქართველოს ჭკვა ასწავლა: მას შემოესია და ბატონათ დააჯდა. ამ მის ბატონობის ხანაში ჩაიდინა მრავალი ღალატი, მაგრამ ყველაზე უფრო აღსაშფოთებელია ერთი: თვით შექმნა «უკლონისტების» პირველი ჯგუფი და თვითვე გასცა ყველა მისი წევრი, რომელნიც საქმეებისაგან გარეკა, გადაასახლებია და თვითონ «გამარჯვებული» მართველობის სათავეში წამოსკუპდა. ამით სამიდღემჩიოთ დაიმსახურა უპრინციპო, დაუნდობელის სახელი. ბ. ფილიპეს უპრინციპობა პირდაპირ საარაკოა. ნეპის დროს ის გამოდიოდა «კულაკების» დამცველათ და იდეოლოგათ. აი ამ «ორატორებათ გამოდის სოფლის შეძლებული ხალხი, სწერდა ის; პასუხისმგებელ მუშაკს ამ შემთხვევაში დიდი სიფრთხილე მართებს. სოფლის გამოცოცხლებას და ამოქმედებას ჩვენ ვესალმებით. ყოველივე ეს სწორეთ ის არის, რაც კომუნისტურ პარტიას და ხელისუფლებას სურს... მათ მიწები ბევრი აქვთ, შეიძლება მათ ჩამოერთვას, მაგრამ შესაძლებელია ამან გამოიწვიოს გაუგებრობა, ამიტომ ასეთ ზომას შეიძლება მივმართოთ უკიდურეს შემთხვევაში» და სხ. (კომუნისტი № 163-166; 1926 წ.). მაგრამ აი მოვიდა მოსკოვის ბრძანება, დაკარით «კულაკებს», მოახდინეთ კოლექტივიზაციაო და ეს ჩვენი გმირიც იჩარჩხება ახალი სამოსელით და ჰალხის, ახლა ყველასი განურჩევლათ, გაცარცვის იდეოლოგათ გვევლინება. ფილიპემ ერთობ დაიმსახურა ჯუღაშვილის ლოცვა-კურთხევა, ექსპროპრიატორთა მეთაურობა.

და მართლაც საქართველოს დღევანდელი ყარაჩოღლური, უკაცრავათ პასუხია, «მთავრობა» უკეთეს ბელადს ვერ იშოვიდა. ვის რათ ესაჭიროება პრინციპი და იდეია, საკმარისია ქონდეს თავში რეტი, ხელში კეტი, რომ გაშლილ სუფრას შემოუჯდეს და ხაჭაპურიძეთ გახდეს. ფილიპე ამ მეხაჭაპურეთ დიდის ენერგიით სარდლობს. მათ დიდის ზეიმით იდღესასწაულეს საქართველოს დაპყრობა, 25 თებერვალს გამართეს თფილისში დიდი მიტინგი და ორატორათ გამოუშვეს თავისი ბელადი ფილიპე. მან ილაპარაკა სამი საათი და დაბრიყვებული მაყურებლები მეტათ გააყეყეჩა. პირველ ყოვლისა, რაკვირელია, ორატორმა განუცხადა გაშტერებულ დამსწრეთ, რომ საქართველო უკვე აყვავდა, ხალხი გაბედნიერდა. მის ბედს ძაღლი არ დაყეფს. წარმოება, მრეწველობა, მეურნეობა დუღს და გადმოდის—ერთი სიტყვით ხალხი დიდათ კმაყოფილი უნდა იყოს და თუ მაინც უკმაყოფილობის ნიშანს იძლევა, ეს სულ წყეული მენშევიკების ბრალია.

ასე აჯერებს, ასე წარბშეუხრელათ ეუბნება პირში იმ ხალხს, რომელიც მისი ბანდისაგან გაძარცულია, მშიერია, ჩაუცმელია, დაუხურავია, დარბეულია, განადგურებულია. მაძღარს მშიერი მაძღარი გონია. ფილიპეს და მის დამქაშებს აი ეს დამშეული ხალხი მაძღარი გონია; ეს შესაძლებელია, მაგრამ როცა ამაში მას ის აჯერებს და ისიც საჯაროთ, ეს უკვე ჯოჯოხეთური დაცინვაა ამ გამწარებულ ხალხზე. დაიბრიყვა რა ასე დამსწრენი, ორატორი მოგვდგა ჩვენ, ემიგრაციას, ჟორდანიას მთავრობას და მოუშვა ლანძღვის გუდა. კოკასა შინა რაცა დგას იგივე წარმოდინდების, ეს არ ახალია, ძველია. მაგრამ როცა თავის იმედებს ის ამყარებს ჩვენს დანგრევაზე შიგნიდან, ჩვენი შინაგანი გაუტანლობით, აქ კი ის მეტათ აჩქარებულა. საქართველოს სოც. დემოკრატიას არა ერთხელ ქონებია შინაგანი უთანხმოება, ბევრი მას კიდევაც მოშორებია, გადადგომია, მაგრამ პარტია ამ ოპერაციით კიდევ უფრო გაჯანსაღებულა და გაძლიერებულა. პარტია დგას თავის პოსტზე, მუდამ აქტიური და მებრძოლი და ვერავითარი «ფილიპიკები», ისიც ასეთი უკბილო, მას გზაკვალს ოდნავათაც ვერ აუბნევს.

ასე პირნათლათ ასრულებს ბ. ფილიპე ჩეკის დავალებას და ყარაჩოღლური «სოვნარკომის» მეთაურის მოვალეობას. ბოლშევიკურმა პარტიამ ამ კრებულში იპოვა თავისი უკანასკნელი გამოხატულობა. თავრეტიანნი და ხელკეტიანნი ერთათ არიან, ერთათ მიდიან და მიიმღერიან, ჩვენ ვართ და ჩვენი ნაბადიო...

საქართველოს ბოლშევიკური ხელისუფლების ეს უკანასკნელი გამოცემა, ნიშანია ამ ხელისუფლების სავსებით გახრწნის და მისი დასასრულის მოახლოვების.

კარლოს ხსოვნას

ხუთი წელი სრულდება (11 ივნისს) რაც ჩვენი კარლო თავისი ნებით გამოესალმა ამ მუხანათ წუთისოფელს.

ბედმა მას, ნაზს, თავდაბალს, მორიდებულს, ახალგაზდობიდანვე ფართოთ გაუღო სახელის და ამაღლების კარები. მის ნათელმა გონებამ და ორიგინალურმა ნიჭმა სრულად გაშალა ფრთები ჩვენი მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების მღელვარე, მაგრამ სალ და მსუბუქ გარემოში. ქართველი დემოკრატიის ამოძრავებამ და გამარჯვებულმა წინსვლამ ის მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ტრიბუნაზე აავლინა. და აქ კარლომ სრულად მიუზღო მის ერს ამოდენა პატივისა და ნდობისათვის. მისი ბასრი, მსახვრალი იუმორი უსაშინელესი იარაღი შეიქნა ძალმომრეობასა და უსამართლობასან ბრძოლაში. მისი მკვეთრი ხმა ისმოდა შორს, ვეებერთელა იმპერიის საზღვრებს გაღმა, და სახელსა და თანაგრძნობას უხვეჭდა მის წარმომშობ წრეს...

ჩამოჰკრა თებერვლის რევოლიუციის ზარმა და ბუნებრივათ, უდაოთ კარლო სათავეში მოექცა საიმპერიო რევოლიუციურ მოძრაობას. მაგრამ შფოთიანმა სტიქიამ მალე გადალეკა რევოლიუციური შეგნება და გონიერება. კარლოს მეთაურობიდან გადადგომამ განასახიერა რუსეთის რევოლიუციის თავქვე დაშვება, მრავალი ერის დემოკრატიის იმედების დამსხვრევა. მან, ჭკვიანმა, ალღო აუღო კარზე მომდგარ კატასტროფას და თავის სამშობლოს მიაშურა. აქ უნდა აგებულიყო შიგნიდან გაუტეხელი სიმაგრე დემოკრატიისა; გაცრუებულ საიმპერიო იმედების ფერფლიდან უნდა ამდგარიყო თავისუფალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველო. კარლო შეიქნა ახლად აღორძინებულ ქართული სახელმწიფოს ერთი სამკაულთაგანი. მთელი თავისი გატაცება, მთელი თავისი რწმენა და მომავალის იმედები ჩააქსოვა მან საქართველოს თავისუფლებაში... და აი, მობერა ჩრდილოეთით თებერვლის სუსხმა და ძალადობამ და უგუნურებამ ფეხქვეშ გათელა ახლად გაშლილი ყვავილი საქართველოს თავისუფლებისა...

ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს ამოიფხვრება ერთი სურათი. თებერვლის თვეა. თფილისი თითქოს გააშრო ზამთრის სუსხმა. ნავთლუღისა და კოჯორის მხრიდან ისმის ზარბაზნების გრიალი და ტყვიისმფრქვეველთ ტკაცა-ტკუცი. დამფუძნებელი კრება ფერმიხდილი, თვალებ მიმქრალი კარლოს თავმჯდომარეობით ჩქარის დაასრულოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია. უეცრად ქუჩიდან მოისმის სამხედრო მარშის ხმა. პრეზიდიუმს ატყობინებენ, რომ სასახლის წინ ფრონტზე მიმავალმა ლეგიონმა უნდა ჩამოიაროს. დამფუძნებელი კრება იყრება და კარლოს მეთაურობით მიეშურება ქუჩაში საბრძოლველად განმზადილ ახალგაზდათა მისასალმებლათ. ლეგიონი შესდგა. მოხუცი, რაინდული გარეგნობის სარდალი (მტრის მიერ ლაჩრულათ მოკლული 1923 წელს) სამხედრო სალამს აძლევს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარეს.

მხრებ-მოხრილი, გაფითრებული, ტკივილით და მწუხარებით აღსავსე თვალებით გაჰყურებს კარლო, თავ-აწეული, შორს მაღლა, თითქოს ზეცას შესჩივისო და ისმის მისი მოწყვეტილი, სასოწარკვეთილი ხმა: «... რა დავაშავეთ?! ვის რა წავართვით?! შეურაცხვყავით ვინმე?! მიუხდით ვინმეს სახლში?! დავჩაგრეთ ვინმე?!.. მაშ რისთვის, რისთვის?!!...» მის გაბზარულ ხმას პასუხს აძლევდა ზარბაზნების ქუხილი. თითქოს ამ კეთილშობილ სინიდისის გოდების დახშობას ლამობდა თფილისის კარებზე მომდგარი ძალმომრეობა...

ეს სასოწარკვეთილი გოდება კარლოს თან გამოჰყვა უცხოეთში. მისი გულის ჭრილობა ვეღარ გამომრთელდა... მისი თაობის ხალხს საშინელი, განუზომელი სიმძიმის ტვირთი ხვდა წილად: 40 წლის მანძილზე ორი, ერთი მეორეზე უსაზარლესი დესპოტიის წინაალმდეგ ბრძოლა. კარლომ არ ინება ამ ტვირთვის ბოლომდე ზიდვა... მან ვერ გაუძლო ტფილისში მიღებულ ჭრილობის ტკივილებს... გაგვშორდა, გამოგვეშალა ამ ქვეყნის შფოთისა და ჭირისაგან დასასვენებლათ. მაგრამ თან წაიღო ღრმა რწმენა მისი და ჩვენი ბრძოლის გამარჯვებისა, მომაკვდავის ათრთოლებული ბაგით დაგვიბარა და გვიანდერძა საქმის მოვლა...

ის ღირსეულად, მისებურათ თავაწეული შევიდა ისტორიის კარებში. იქ მას განმზადილი აქვს მისი ერის წრფელი სიყვარული და ღრმა პატივისცემა სამარადისოთ.

დ. შ.

ნოე რამიშვილის გარდაცვალების ექვსი თვის თავი

ექვსი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ნოე ტრაღიკულად დაიღუპა. ამ დაღუპვით ჩვენში გამოწვეული მწვავე ტკივილები დროთა განმავლობაში თანდათან მიჩლუნგდება, მაგრამ ნოე რამიშვილის პიროვნების უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი ერის განმათავისუფლებელ მოძრაობისათვის ყველასათვის შემდეგში კიდევ უფრო ცხადი და ნათელი შეიქნება.

ნოე იშვიათი ნების-ყოფის, ენერგიის და მუშაობის უნარის მქონე ადამიანი იყო, არასოდეს არ გაურბოდა რაიმე პატარა სამუშაოსაც და არ თაკილობდა მის შესრულებას, თუ ამას საქმე კი მოითხოვდა. დიდ და პატარა საქმეს შორის ის არ არჩევდა, ყველაფერს ერთნაირი ხალისით აკეთებდა. ნოე ლევილიდან პარიზში საქმეების გამო კვირაში რამდენჯერ ისე ადვილათ ჩამოდიოდა თუნდაო ერთი სართულიდან მეორე სართულზე ასულიყო. დაუზარებლობა მისი განსაკუთრებული თვისება იყო.

ნოე გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ევროპის პრესას და ყოველთვის ყველაფრის კურსში იყო. ის არ უშვებდა წაუკითხავად არც ერთ საინტერესო პოლიტიკური ხასიათის წიგნს. ნოე არასოდეს დროს ტყვილა არ კარგავდა: ან საქმეს აკეთებდა და ან საქმეზე ლაპარაკობდა. თუ კი რაიმე საქმის გაკეთება დღეს კი შეიძლებოდა, ის არასოდეს მას ხვალისთვის არ გადადებდა. ნოეს ყოველთვის წინდაწინვე ქონდა გათვალისწინებული, თუ რა უნდა ეკეთებია მას ერთი კვირის განმავლობაში. მასში ბუდობდა წყარო ინიციატივისა და ენერგიისა.

ნოეს ოჯახობას და მის ახლო მეგობრებს არ გვინდოდა, რომ მის საფლავზე ლოდი დაედვათ და ის მას გულზე მძიმეთ დასწოლოდა. ცრუმორწმუნე და მისტიკოსი არა ვარ, მაგრამ როცა დრო გამოშვებით ნოეს საფლავს ვესტუმრები, მიკვირს, როგორ ამაგრებს ამ მუდამ მოძრავ, მოუსვენარ და მოქმედ ადამიანს ის მიწა, რომელიც მას გულზე აყრია.

მძლავრი ნებისყოფის ადამიანი, ნოე ამავე დროს საქმის და ენერგიის კაცი იყო. საქმიანობა და ენერგია ხომ ნებისყოფის სფეროა. ნებისყოფა, ენერგია და მოქმედება კი მუდამ იმედიანობის დასაბამი და წყაროა. ამიტომაც იყო, რომ ნოე მუდამ ოპტიმისტი იყო.

ნოე მუდამ ჩვენი ერის და პარტიის საქმეებზე ფიქრობდა და მუშაობდა. აქ აქსოვდა ის მთელ თავის არსებას, ფიქრს, აზრს. ის ამით ცოცხლობდა.

ვისაც ნოესთან ერთად უმუშავნია და ვინც მას ხშირათ საქმეზე შეხვედრია, ის უთუოთ მის საქმიანობის გავლენას იგრძნობდა და განიცდიდა. წარმოუდგენელია, ნოეს შეხვედროდი და მას მაშინვე ან პარტიულ ან საერთოდ ჩვენი დღევანდელ მდგომარეობის შესახებ ლაპარაკი არ დაეწყო. ის საქართველოს დამოუკიდებლობის და თავისუფლების მხურვალე მოტრფიალე და მქადაგებელი იყო.

საჭიროთ მიმაჩნია აღნიშნულ იქნას ერთი ფაქტი, რომელიც შეიძლება ბევრმა არც კი იცოდეს. დიდი ომის დროს, 1916 წლის დასაწყისში, ერთი ამხანაგის ბინაზე ნოე რამიშვილის ინიციატივით მოწვეულ იქნა 10-12 ამხანაგებისაგან შემდგარი არალეგალური კერძო თათბირი. ამ თათბირს ემიგრაციაში ეხლა მყოფ ამხანაგებისაგან დაესწრო მელიტონ რუსია და მე. თათბირს ნოე თავმჯდომარეობდა. მან ილაპარაკა შექმნილ მაშინდელ მდგომარეობის შესახებ. აღნიშნა, რომ დიდი ომი იმპერიალისტურ ძალთა შეჯახება იყო, რასაც უნდა მოყოლოდა ხანა სოციალურ კატაკლიზმების, პოლიტიკურ რევოლიუციების და დამორჩილებულ ერთა განთავისუფლების. ნოე განსაკუთრებით ხაზს უსვამდა კავკასიის რუსეთიდან გამოყოფას და კერძოთ საქართველოს საკითხის წამოჭრის შესაძლებლობას. ასე დაისვა მაშინ დამოუკიდებლობის საკითხი. მიგრამ ჩვენი პარტიის ვალი იყო ომის დროს მას არ გადაედგა ისეთი ნაბიჯი, რაც ქართველ ერს გაჟლეტას უქადდა. ამიტომაც იყო, რომ კავკასიის, თუ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი იმ დროს პრაქტიკულად არ იქნა წამოყენებული. მაგრამ სადაც შესაძლებელი და მოსახერხებელი კი იყო, ნოე მუდამ რუსეთის ჩაგრულ ერთა განთავისუფლების სასარგებლოთ იმაღლებდა ხმას.

როცა ჩვენ ქვეყანაში მტრის შემოსევის შემდეგ ჩვენ ემიგრაციაში მოვხდით, პირველ დღიდანვე ნოეს უდიდესი სადარდელი და საფიქრებელი ის იყო, რომ ჩვენ ხალხს იმედი არ დაეკარგა, დამოუკიდებლობაზე გული არ აეცრუებია და მტრის წინაშე ქედი არ მოეხარა. ამის შესახებ ის სწერდა საქართველოში დარჩენილ ჩვენს ამხანაგებს კიდევ პირველ კვირეებში მისი სტამბულში ჩამოსვლისა—ამხნევებდა, აძლევდა მათ იმედს და მოუწოდებდა ყველას ოკუპანტების წინაალმდეგ შეურიგებელ ბრძოლის გასაგრძელებლათ. ასეთივე გამხნევების და ბრძოლის ყიჟინის მოწოდებებს აგზავნიდა ნოე საქართველთში მთელი ამ ათი წლის განმავლობაში. საქართველოს თავისუფლების აღდგენის საკითხი მისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხი იყო.

თუ ქართველი ერის უდაო ბელადი, თუ საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი და იდეოლოგი ნ. ჟორდანია იყო და არის დღესაც, ნოე რამიშვილი უთუოთ ამ ხელმძღვანელობის და იდეოლოგიის ცხოვრებაში პრაქტიკულად საუკეთესო გამტარებელი იყო.

ნოე დიდ ყურადღებას აქცევდა აგრეთვე ემიგრაციას. ეშინოდა, რომ ეს უკანასკნელი, მშობლიურ კერას მოწყვეტილი და უცხო ქვეყანაში გადმოხვეწილი, ფიზიკურ შრომით მოღლილი და მოქანცული, მატერიალურათ შევიწროებული და ხშირათ ჯანმრთელობით მისუსტებული, არ მოშლილიყო და სასოწარკვეთილებისათვის არ მიეცა თავი. ნოე ხშირათ დადიოდა ევროპის სხვადასხვა ქალაქში, სადაც ჩვენი თანამემამულენი არიან თავმოყრილი, ეც-

ნობოდა მათ ცხოვრებას, მდგომარეობას, აზროვნებას და სულისკვეთებას და ყველას სათანადო რჩევას და დარიგებებს აძლევდა. ყველას ამხნევებდა, როცა საჭირო იყო მაგრადაც შემოუძახებდა. ყოველგან სიცოცხლის და მოქმედების ხალისი შექონდა.

ნოეს დასაფლავებისას ჩვენ მეზობელ. თუ რუსეთში მობინადრე სხვა ჩაგრულ ერთა წარმომადგენელნი ერთხმად აცხადებდენ, რომ ნოე რამიშვილი არ ეკუთვნოდა მხოლოდ ქართველებს. ის ჩვენთან ერთათ მტრის წინაალმდეგ საერთო ბრძოლას აწარმოებდა და ამიტომ ყველა ჩვენთვის ისეთივე მეგობარი და თანამებრძოლი იყო, როგორც ქართველებისათვისო, და მართლაც, საქართველოს თავისუფლების აღდგენის შესაძლებლობას ნოე ხედავდა მხოლოდ მეზობელ ერთა მკვიდრ კავშირში და საერთოდ რუსეთის ჩაგრულ ერთა დემოკრატიების გაერთიანებაში. ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლათ ჩვენ ბრძოლას, მისი აზრით, ვერ მოვიგებდით. ამისთვს საჭირო იყო ერთი მთლიანი და მძლავრი დემოკრატიული ფრონტი.

ნოეს თავდავიწყებით უყვარდა მისი მშობელი ერი და მთელი თავისი არსებით იბრძოდა მის გასანთავისუფლებლათ. ის უთუოთ დიდი ქართველი იყო.

ნოე რამიშვილის სახელი სამუდამოთ დარჩება მკვიდრათ დაკავშირებული ჩვენი პარტიის ისტორიასთან. ის თავდადება და თავგანწირვა, რომელიც მან გამოიჩინა მის 29 წლის ჩვენი პარტიისადმი ასეთნაირ დაუღალავ სამსახურში, მუდამ იქნება დაუვიწყარი და სხვებისათვის სამაგალითოთ მოსაგონარი.

ჩვენი პარტიის რიგების ზრდაში და მისი ორგანიზაციულად მწკრივათ დაწყობაში ხედავდა ნოე ჩვენი ერის საუკეთესო მომავალს. ის არასოდეს არ უპირდაპირებდა ერთმანეთს პარტიას და ერს. ნოესთვის ჩვენი პარტია იყო ჩვენი ერის ხელმძღვანელი, და ამ ხელმძღვანელობის განმტკიცებას შეალია მან მთელი თავისი ძალა და ღონე. ის ამისთვის იქნა მსხვერპლათ მიტანილი. მაგრამ დიდ მსხვერპლს ხშირათ დიდი შედეგიც მოსდევს. ეჭვი არ არის ჩვენი ერი და პარტია ამ დიად მსხვერპლს არ აპატიევებს ლაჩარ და ვერაგ მტერს და მას თავის დროზე შესაფერ პასუხს გასცემს.

რუსეთის თვითმპყრობელობასთან განვლილ ბრძოლაში გამოკვეთილ იქნა ისეთი დიდი ნებისყოფის ადამიანი, ისეთი დიდი ორგანიზატორი, როგორიც იყო ნოე რამიშვილი. საუბედუროთ, ასეთი პიროვნებები დღეს აღარ დარჩა ჩვენ ძველ თაობას. მაგრამ ჩვენ ერს და პარტიას ბოლშევიკების ტირანიასთან ბრძოლაში ეხლა ახალი მებრძოლნი ეზრდება. ნოე რამიშვილის შემცვლელს და მოადგილეს მხოლოდ მომავალი თაობა მოგვცემს.

კ. გვარჯალაძე.

სიცრუის ქურუმები

დიდიხანია ცნობილია, რომ მთელი ბოლშევიკური ძალმომრეობა აგებულია სიცრუეზე, სიცრუე ეკონომიური, პოლიტიკური, მორალური. საბჭოთა კავშირში ხალს ჩასჩიჩინებენ, მოითმინეთ, ჩქარა კეთილდღეობაში შეხვალთო, ხოლო ევროპაში გაიძახიან—საბჭოთა ხალხები უკვე კეთილდღეობაში ცურავენ, ყელამდე სავსე არიან. წაბაძეთ მათო! ამ ორმაგი სიცრუის სამსხვერპლოზე იწირება უთვალავი ქონება, იდევნება აუარებელი ხალხი, იწამება საუკეთესო მუშაკნი, იცარცვება მთელი საზოგადოება. ამ სიცრუის დასაცავათ ითხზება პროცესები, იქმნება ყალბი საბუთები, მოყავთ ცრუმოწმეები, ისჯება და ირბევა ცაში მართალნი.

ამ სიცრუეთა გოდოლს ახლა მიუმატეს ახალი წუმპე, რომელშიაც ყელამდე ჩაძვრენ თფილის-მოსკოვის ქურუმები შეერთებულათ. ასპარეზზე გამოიყვანეს ქოსა-ტყუილა ხაჭაპურიძე, მიანდვეს ჟანდარმთა არქივების გამოქექა და ნ. ჟორდანიას წინაალმდეგ რაიმე ბრალდების შეთხზვა. მაგრამ რადგან მისთვის ბუნებას გაგების ნიჭი არ მიუცია, თავისი მისია შეასრულა მეტათ ხეპრულათ, დავალებული ბრალდება კი შეთხზა, მაგრამ საბუთი კი ვერაფერი ვერ მოიყვანა; ბოლშევიკები კი მაინც ცას ეწიენ და მთელ რუსეთში და ევროპაში ასტეხეს განგაში. რაიცა ნათლათ მოწმობს იმას, რომ მათ აინტერესებდა არა საბუთი, არამედ ჭორების გავრცელება. აქ კი ხაჭაპურიძის პატრონებმა თავისი «მისია» ვერ შეასრულეს, გავრცელებით ვერ გაავრცელეს; მათ იმდენათ გატეხილი აქვთ სახელი, იმდენათ დავარდნილია მათი პატიოსნების და რიგიანობის სახეობა, რომ ევროპიულ პრესამ ამ ბრალდების არაფერი არ დაიჯერა და თავის ორგანოების ფურცელზე ეს ცნობა არ გააჭაჭანეს. ცრუპენტელა ტასს ვინ ენდობოდა უსაბუთოთ და ურეზერვოთ. მაგრამ როცა «საბუთი» მოვიდა, როცა თფილის-მოსკოვის გაზეთმა ხაჭაპურიძის ნაცოდვილევი მოიტანა, განცვიფრებას საზღვარი არ დაურჩა, მოსკოვის სიყალბე, ტასის სიცრუე საყოველთაოთ ნათელი გახდა. ბრალდებას სრულიად არ უდგება «საბუთი», არავითარი კავშირი მათ შორის არ არის, არც ერთი ფაქტი, არც ერთი საბუთი, გარდა იმისა, რომ ჟორდანიას თურმე სატუსაღოდან განთავისუფლება ნდომებია და საამისო განცხადებები დაუწერია! და რომ ხაჭაპურიძის წერილში ამ სიყალბის მეტი არაფერი იყოს, რომ აქ მარტო ჟორდანიას პირადობის წინაალმდეგ იყოს შეთხზული ეს სასაცილო გალაშქრება—ამ საგანზე ლაპარაკსაც არ დავიწყებდით, იმდენათ ნათელია მთელი ამ გალაშქრების სიყალბე და სიდუხჭირე. მაგრამ ამასან ერთათ ჩაქსოვილია ჩვენი მოძრაობის გაყალბება. ნამდვილი ამბების მიჩქმალვა და ფანტასტიური ამბების შეთხზვა.

ხაჭაპურიძის წერილში მოყვანილ «საბუთებში» რა მართალია, რა შეთხზულია—ამის გამორკვევა შეუძლია მხოლოდ ექსპერტს. საამისო წინადადება კიდევაც მიუცია ნ. ჟორდანიას დეპეშით «ზარია ვასტოკას» რედაქციისათვის, მაგრამ პასუხი ვერ მიუღია. ბოლშევიკებს, რასაკვირველია, პირუთვნელი გამოძიება არაფრათ ეპიტნავებათ, მაშინ ხომ მთელი მათი სიცრუეთა გოდოლი ძირბუდიანათ დაინგრეოდა. რაკი საბუთების გაშინჯვა და შემოწმება ჩვენ ხელთ არ არის. დაგვრჩა მეორე გზა—შემოწმება საბუთების ფაქტიურათ, ე. ი. რომელი მათგანი ეწინააღმდეგება სინამდვილეს და რომელი ეთანხმება. ხოლო სინამდვილეს გაგება შეიძლება თვით ბოლშევიკების მიერ გამოქვეყნებული საარქივო მასალებისაგან, მოთავსებული გრ. გიორგაძის ორ დიდ წიგნში *).

პირველი საკითხია გამოსარკვევი. ვინ როდის დაიჭირეს, ვის რა ბრალდებას უყენებდენ. ხაჭაპურიძეს თუ დაუჯერეთ, გამოდის რომ ნ. ჟორდანიას დაკითხვის შემდეგ, რაიცა მომხდარა 23 თებერვლიდან 1902 წ., და ამ დაკითხვასან დაკავშირებით მოხდა მასიური დაჭერა და პასუხისგებაში მიცემა. ამის საბუთათ მოყვანილია არა ნ. ჟორდანიას ჩვენება, ან რაიმე მისი საბუთი, არამედ ჟანდარმერიის მოხსენებიდან ამოღებული ერთი ადგილი. ორში ერთი: ან მთელი ეს ადგილი შეთხზულია ახლა ბოლშევიკებისაგან, ან ჟანდარმერია, ისე როგორც ჩეკა, ტყუილს-ტყუილებზე აცხობდა. პირველი მოსაზრება უფრო გავს სიმართლეს, მეფის ახრანა ცრუპენტელობაში ბოლშევიკებისას ვერ შეედრება. გიორგაძის მიერ გამოქვეყნებული საბუთებიდან აშკარაა, რომ მთელი დაჭირვები, ბრალდებათა წაყენება. მთელი პოლიტიკური საქმე, რომელიც შეეხებოდა 1901 წლის მოძრაობას თფილისში, მოხდა ჟორდანიას დაკითხვამდე, ე. ი. 23 თებერვლამდე. რეპრესიები დაიწყო 21-22 მარტიდან 1901 წ. როცა ერთ ღამეს დაატყვევეს მთელი კომიტეტი თფილისის ორგანიზაციისა, ხოლო ვინც გადარჩა დაატუსაღეს შემდეგ თვეებში, მათ შორის თითქმის უკანასკნელათ ნ. ჟორდანია (6 ივლისს) (გვ. 539-540). მიუხედავათ კომიტეტის ჩავარდნისა, მოხდა 22 აპრილს სამაისო დემონსტრაცია, რის გამო დაიჭირეს იმავე დღეს 41 კაცი (გვ. 542). ჩავარდნილი კომიტეტის ალაგას, შედგა ახალი კომიტეტი, რომელიც შინაგანი პროვოკაციით დაიჭირეს 15 თებერვალს 1902 წ. (იხ. გვ. 239. გიორგაძის «თვითმპყრობელობა»). მთელი ეს ამბავი საბუთებით, სახელით და გვარებით, დატებით ვრცლათ მოთხრობილია ზემოთ აღნიშნულ წიგნში, ხოლო რასაც ახლა თფილის-მოსკოველი ბოლშევიკები იგონებენ, მათ მიერ სახელდახელოთ შეთხზულია.

ეს კიდევ ცოტაა, თუ მათ დაუჯერებთ ამ დღიდან «შეფერხდა მუშათა მოძრაობა საქართველოში». ნამდვილათ კი მუშათა მოძრაობა მიუხედავათ ამდენი დატუსაღებისა, არა თუ არ შეფერხებულა, პირ-იქით დიდათ გაძლიერდა და გაფართოვდა. მთელი რიგი გაფიცვებისა და რევოლიუციურ გამოსვლებისა, თფილისში, ბათუმში, რკინისგზაზე, სოფლებში გლეხთა მოძრაობა, სწორეთ 1902 წლიდან ძლიერდება. გიორგაძეს მოყვანილი აქვს ამის დიდძალი საბუთები და აკეთებს ასეთ დასკვნას: «1902 წელს მუშათა რევოლიუციური მოძრაობა თანდათანობით სწრაფათ იზრდება საქართველოში და მთელ ამიერ-კავკასიაში, განსაკუთრებით თფილისში, ბათომში და ბაქოში» (იქ. გვ. 222).

ერთი სიტყვით, ბოლშევიკების ახალი ცდა ჩვენი მოძრაობის გაყალბებისა სავსებით ეწინააღმდეგება სინამდვილეს და მოწმობს მხოლოდ მათ ბოროტ განზრახვას—სინამდვილის გაყალბებით გააყალბონ ამ სინამდვილის შემქნელთა, ნამდვილ თავდადებულ მებრძოლთა მოღვაწეობა. და ეს იმიტომ რომ ამ პირთა შორის ბოლშევიკები სანთლით საძებარია, მთელი მოძრაობა წარმოებდა მენშევიკების წყალობით. გამოქვეყნებულ პირთა სიაში ბოლშევიკური ინტელიგენციისაგან სჩანს აქტიურ მომუშავეთ მხოლოდ ჯუღაშვილი (სტალინი), რომელმაც ბათომში 1902 წ. მუშათა გაფიცვა გადააქცია მუშათა სისხლის ღვრათ, რის გამო ის გამოძევებულ იქნა ბათომის სოც. დემ. ორგანიზაციიდან. ფ. მახარაძისათვის მხოლოდ ჩვენება ჩამოურთმევიათ (იქ. გვ. 203), რაც მას ალბათ დატუსაღებათ მოეჩვენა. ჩვენების ჩამორთმევაც გამოიწვია არა ხალხში მისმა აქტიურმა მუშაობამ, ამას სათოფეთ არ ეკარებოდა, არამედ სილ. ჯიბლაძესან ერთათ ერთ ბინაზე დგომამ. ხოლო სილვასან, როგორც ორგანიზაციის ლიდერთან ბევრი ამხანაგი დადიოდა, დღე და ღამე მოურიდებლათ.

და ახლა, ეს ბოლშევიკური ნაცარქექიები, რომელთა როლი საქართველოს რევოლიუციურ მოძრაობაში არ აღემატებოდა ხარის რქაზე დამჯდარ ბუზის როლს, ახლა გამომდგარან და მთელი ისტორიის გამრუდებით—ამრუდებენ მთელ მოძრაობას. მათი აუარებელი «მოგონებანი» წარმოადგენენ ერთ გასაშტერებელ, დაუსრულებელ ტრაბახობას, ჩვენ ვიყავით, რაც ვიყავითო, მაგრამ ფაქტები. უტყუარი საბუთები მათ ცხვირ-პირში სცემენ და მათ სიცრუეს და ორპირობას ნათელყოფენ. 1901 წლის საქმის გამო გადასახლებულ სოც. დემ. ინტელიგენტთა შორის არ მოიპოვება არც ერთი ბოლშევიკი, ყველა მენშევიკებია, რომელთაც მიიღეს «უმაღლესი სასჯელი»—სამ-სამი წელი, მათ შორის ნ. ჟორდანიაც *).

ბოლშევიკთა სიცრუის დასამტკიცებლათ საჭიროა მთელი არქივის მასალების გადაკეთება, ნამდვილი საბუთების მოპარვა და ახლათ შეთხზულის მათ ალაგას ჩადება, გიორგაძის წიგნების ყალბათ აღიარება —ერთი სიტყვით მთელი სინამდვილის უკუღმა შებრუნება. მათგან ყველაფერი მოსალოდნელია.

ეს ვაჟბატონები არ კმაყოფილდებიან მოძრაობის გაყალბებით. ხაჭაპურიძის საშუალებით ისინი შეეცადენ პოლიტიკურ ტუსაღთა ეთიკის შერყვნასაც, ვინც რაიმე თხოვნით მიმართავდა ციხიდან მართველობას თავის საქმის გამო—გამცემი ყოფილა! და რადგანაც ამას სჩადიოდა თითქმის ყველა პოლიტიკური ტუსაღი, აქედან ბოლშევიკური დასკვნა—ესენი მოღალატენი ყოფილანო! ასე მწყრალათ არიან ამ ჟამათ ეს ხალხის სისხლით დამთვრალი ტირანები გონიერებასან და ლოღიკასან.

მაგრამ არის ერთი საკითხი, რომელიც ითხოვს გარკვევას. თუ მართლა გამოქვეყნებული განცხადებანი ნამდვილია, შიგ და შიგ არაფერია ჩამატებული ან ზოგი ახლათ ვამოგონილი არ არის. დასაშვებია თუ არა ასეთი ტონი და შინაარსი პოლიტიკური ტუსაღის ეთიკის თვალსაზრისით. ამ საგანზე იყო ორი აზრი რევოლიუციონერთა შორის: ზოგი ფიქრობდა, რომ რევოლიუციონერი ციხეშიაც განაგრძობს რევოლიუციურ ბრძოლას, ციხის ადმინისტრაციასან და ჟანდარმერიასან, თუნდაც ამით მათი ტყვეობის ვადა გახანგრძლივდეს. ამ აზრს იზიარებდენ ანარქისტები და მოანარქისტო ელემენტები. დიდი უმრავლესობა იყო მეორე აზრის. რევოლიუციონერის ბრძოლის ასპარეზია ხალხი, საზოგადოება; როცა მას აშორებენ ამ ასპარეზიდან და ციხეში ამწყვდევენ, მისი მოვალეობაა რაც შეიძლება ჩქარა განთავისუფლდეს და ბრძოლას დაუბრუნდეს. ამ მიზნით ის უარს ამბობს წამოყენებულ ბრალდებებზე, თავს აჩვენებს ლოიალურ მოქალაქეთ. კვალს უბნევს თავისი ჩვენებით და თხოვნებით. არ ებრძვის ციხის ადმინისტრაციას, ერთი სიტყვით, აწარმოებს არაგულწრფელ პოლიტიკას თავისი მტარვალების მიმართ. საქართველოში აი ამ ეთიკას მისდევდა ყველა პოლიტიკური ტუსაღი, პირველ შეხედულობას გასავალი არ ქონდა. და დღესაც ქართველი სოციალდემოკრატია ამ პოლიტიკას განაგრძობს ბოლშევიკურ მტარვალებისადმი. ამიტომ პარტიის ც. კ. ამ რამდენიმე წლის წინეთ სრულიად სწორათ მოიქცა, როცა მან ნება დართო დატუსაღებულ ამხანაგებს ჩეკას მისცენ განცხადება პოლიტიკაზე ხელის აღების შესახებ, თუ ასეთი განცხადება მათ თავისუფლებას მიანიჭებდა. ასეთი განცხადების გამო მართლაც ბევრი გაანთავისუფლეს და მათ განაგრძეს პარტიული მუშაობა. აი ეს არის ნამდვილი რევოლიუციურული ეთიკა, ნამდვილი მებრძოლის ყოფაქცევა ციხეში და ციხის გარეთ და მას მივსდევთ ჩვენ პარტიის წინააღმდეგ მიმართული პირველი რეპრესიებიდან (1901 წ.) დღევანდლამდე. ამაში არაფერია ნერვიულობის, სულმოკლეობის, შეშინების; ეს სავსებით წინდაწინ გამოფიქრებული, შეგნებულათ მიღებული და წარმოებული ბრძოლაა მეფის «ოხრანასან» და ბოლშევიკების ჩეკასან.

აი ამ ფარგალში თავსდება პოლიტიკურ ტუსაღთა ყოველნაირი მიმართვა მთავრობისადმი თავის განთავისუფლების მიზნით. სადაო აქ არაფერია. სადაო არის მხოლოდ მეორე საკითხი: რამდენათ დასაშვებია ამგვარი თხოვნებით მიმართვა რევოლიუ-

---

*) «თვითმპყრობელობა და რევოლიუცია». 1929. «საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში», 1928.

*) ნ. ჟორდანია გამოუშვეს ციხიდან ს. ჯიბლაძესან ერთათ. ერთი წლის ტყვეობის შემდეგ. მაგრამ ჩქარა ისევ დაატყვევეს ორივე გურიაში აგრარიული მოძრაობის გამო. იჯდენ სამ თვეს ქუთაისის და ფოთის ციხეში, გადაასახლეს ორივე საქართველოდან თფილისის საქმის გამო განჩინების გამოტანამდე პოლიციის დეპარტამენტის მიერ, პირველი რუსეთის შორეულ გუბერნიაში, მეორე, განჯაში. სადაც მიიღეს განჩინება სამ-სამი წლის გადასახლებისა. ჟორდანია არ დაემორჩილა, დაიმალა და თფილის-ბათომის კომიტეტების შემწეობით საზღვარგარეთ გაიპარა პარტიული დავალებებით.

სასახელო წარსულიდან

(მოგონებიდან)

1901 წელს, გაზაფხულზე, მარტში ნოე სოფლად წავიდა ლანჩხუთში. წასვლის წინ თავის ოთახის გასაღები «კვალის» რედაქციაში სილიბისტროს დაუტოვა—ღამის გათევა თუ დაგჭირდეს, ისარგებლე ჩემი ბინითო. ერთ საღამოს თბილისის ქალაქის კომიტეტის კრებიდან მომავალი სილიბისტრო მისულა ნოეს ოთახში და დაწოლილა. ღამე დაეცენ ჟანდარმები, რომლებიც ალბათ კარგა ხნიდან უთვალთვალებდენ მას და დაატუსაღეს. შეუძლებელი იყო დამალვა რომ ოთახი ნოე ჟორდანიას ეკუთვნოდა. ჟანდრემმა წაიღეს ნოეს მრავალი წიგნები და ხელნაწერები. სოფლიდან ამოსულ ნოეს დაჰკითხეს სილიბისტროს შესახებ, ნოემაც განაცხადა რომ ის მისი მეგობარი იყო და თფილისში არ ყოფნის დროისთვის მას ოთახი დაუთმო. ნოემ მოითხოვა მისი წიგნების და მასალების დაბრუნება. წიგნები კი მისცეს, მარა მასალები აღარ დაუბრუნეს.

სილიბისტროსთან ერთად დაიჭირეს მრავალი მოწინავე მუშაკი—ინტელიგენტი თუ მუშა; ამათ რიცხვში იყვნენ: სევერიანე ჯუღელი, ვასო ცაბაძე, გ. ყარაჯიანი, კურნატოვსკი, ფრანჩესკი და სხ. აქტიურ მომუშავეებიდან დარჩენ თითქმის მხოლოდ მუშები. მოწინავეების დაჭერამ ერთნაირი არევ-დარევა და პანიკა გამოიწვია. ზოგი დაფრთხა და შიშით გვეუნებოდა: თუ კაცი ხარ ჩემთან ნუღარ მოხვალო. სილიბისტროს ხელმძღვანელობით დაწყებული იყო სამაისო გამოსვლისათვის მზადება და ჩვენ ვშიშობდით, რომ მთელი საქმე ჩაიშლებოდა უხელმძღვანელობით. სწორეთ ამ ხანებში მივიღეთ რუსეთიდან სამაისო ფურცელის ტექსტი, რომელიც უნდა დაგვებეჭდა და გაგვევრცელებია, რათა მოძრაობას მთელი იმპერიის ტერიტორიაზე საერთო ხასიათი მისცემოდა. აი ამ გასაჭირ მომენტში დამიბარა ნოემ და, მახსოვს, მითხრა: შიში ერთია და სიფრთხილე კიდევ სხვაო, იარე ჩემთან რომ განვაგრძოთ საქმეო. და მართლაც, ჩაგვიდგა სათავეში და დაასრულა სილიბისტროს დაწყებული სამაისო მზადება. ამ მზადებაში მონაწილეობას იღებდენ ზაქრო ჩოდრიშვილი, ლავრენტი მამალაძე, მიხა ბოჭორიშვილი, არ. ოქუაშვილი, ვ. ურუშაძე, ს. თელია, ს. ჯუღაშვილი, ერასტო ჩანტლაძე, ვალერა ბილანიშვილი, ილია ბადრიძე და სხვები. დემონსტრაცია დაინიშნა 22 აპრილისათვის (ახალი სტილით 1 მაისი). მოხდა განთქმული დემონსტრაცია და შეტაკება «სალდათის ბაზარზე», სისხლი დაიღვარა, რამდენიმე კაცი დაგვიჭირეს და მრავალნი დაატყვევეს. ამოდენმა ამბავმა ჩვენში ერთნაირი დაბნევა გამოიწვია, გვესაჭიროებოდა გამაგრება, მომხდარ ამბის ნამდვილი ხასიათის გარკვევა ჩვენთვის და სხვისთვის, ხალხისთვის. კომიტეტი დაშლილი იყო, ხალხს არ ესმოდა რა მოხდა და ათასნაირი ხმები ვრცელდებოდა. ნოემ დასწერა ცეცხლისმფრქვეველი პროკლამაცია მომხდარი ამბების შესახებ, ახსნა და განმარტა ღრმა პოლიტიკური მნიშვნელობა დემონსტრაციისა, პირველი შეიარაღებული შეტაკებისა თფილისში პროლეტარიატსა და მეფის მთავრობას შორის. დამიბარა და მითხრა თუ შეგიძლიათ ამის აწყობა, აი ესაა რევოლიუციური საქმეო. მეორე დღესვე ავაწყვეთ და დავბეჭდეთ ფურცელი სილიბისტროს მიერ დაზრდილმა ასოთამწყობებმა. ეს გამამხნევებელი ფურცელი ფართოთ იქნა გავრცელებული არა მარტო თფილისში, არამედ საქართველოს ყველა კუთხეებში. საცა კი ჩვენები მუშაობდენ, ნოემვე შეადგინა «ბლანკი» მიმართვისა საზოგადოებისათვის მოწოდებით გაეღოთ ფული დატუსაღებულთა და დაჭრილთა დასახმარებლათ. ბლანკები დაიგზავნა ქუთაის, ბათუმს. გურიაში, გვარიანი თანხა მოიკრიბა და გადაეცა დანიშნულებისამებრ.

სილიბისტრო გაანთავისუფლეს 1902 წელს ზაფხულში, ხოლო რამოდენიმე ხნის შემდეგ გაანთავისუფლეს ნოეც. იმავე დროს დადგა საკითხი გლეხთა შორის მუშაობის შესახებ. გლეხთა აგრარული მოძრაობა მომწიფებული იყო, მაგრამ ზოგიერთი ამხანაგები—განსაკუთრებით ქუთაისლები და ბათუმლები უარყოფდენ ჩვენი პარტიის გლეხთა მოძრაობაში ჩარევას—ეს სოციალდემოკრატიის საქმე არააო. სილიბისტრო და ნოე გაემგზავრენ ლანჩხუთში. ორთავენი მხურვალეთ მიემხრენ ახლად დაწყებულ აგრარულ მოძრაობის ხელმძღვანელობის აღებას პარტიის მიერ და საამისო დარიგებები მისცეს ამხანაგებს გურიაში. სილიბისტრო და ნოე მალე შეიპყრეს გურიაში და გაგზავნეს ქუთაისის ციხეში, საცა მთავრობამ თავი მოუყარა ახალ მოძრაობაში ჩაბმულ გურულ გლეხებს. ციხე გადაიქცა გამუდმებულ სახალხო კრებათ, საცა სილიბისტრო თავის აღგზნებული მჭევრმეტყველებით თვალებს უხილავდა დატუსაღებულ გლეხებს. მთავრობამ გადსწყვიტა მეთაურების იზოლიაცია; ნოე, სილიბისტრო, ნ. ხომერიკი და მოსე მეგრელიძე ფოთში გადაიყვანეს...

მე დამატუსაღეს 1901 წ. თფილისის სადგურზე გიორგობისთვეში, სამხედრო სატუსაღოში ცოტა ხანი გამაჩერეს და მეტეხში გადამიყვანეს. მალე იქვე მოიყვანეს სხვა ამხანაგებიც სამხედრო ციხიდან. მე გაცემული ვიყავი ზემოდ აღნიშნული ფურცლის აწყობის და დაბეჭდვის საქმეში. გამცა ვიღაცამ «ძირიდან», რადგან ჟანდარმერიამ არ იცოდა ვისგან მქონდა მიღებული პროკლამაციის ტექსტი. სწორეთ ეს იყო ჩემი დაკითხვის მთავარი პუნქტი. შემეკითხენ—ნ. ჟორდანიასაგან ხომ არ მიგიღია პროკლამაციის ხელნაწერიო. ყველაფერზე უარი ვთქვი: ასოთამწყობი არ ვარ და არც შემიძლია აწყობა, ხომ ხედავთ მარჯვენა ხელზე ცერი არა მაქვს მეთქი. ნოე ჟორდანიას არც ვიცნობ პირადათ, გამიგონია მხოლოდ რომ «კვალში» სწერს მეთქი. 17 თვე გამაჩერეს ცალკე საკანში, საერთოთ კი 20 თვე დავყავი ციხეში. საინტერესოა, რომ იქვე მჯდომ ნოეს არც კი შეეკითხეს ფურცლის ავტორობის შესახებ. ალბათ მხოლოდ იჭვი ჰქონდათ აღებული და ჩემს ჩვენებას ელოდენ, რომ მერე მისთვის წარედგინათ საბუთად.

1902 წელს სხვებთან ერთად გამოუშვეს ნოეც: დეპარტამენტიდან მის შესახებ განაჩენის მიღებამდე გადაასახლეს განჯაში. მოვიდა განჩინება. კ. გოგუას, ს. ჯუღელს, ზ. ჩოდრიშვილს, სილიბისტროს, გ. ყარაჯიანცს, ერასტო ჩანტლაძეს, გ. ვარდოიანცს, მე და კიდევ სხვებს გადაგვიწყვიტეს 3 წლით ციმბირში გადასახლება, ნოეს კიდევ სამი წლითვე ვიატკის გუბერნიაში. ნოე, როგორც სხვები, უნდა გადაეგზავნათ «ეტაპით» დადგენილების თანახმად. მაგრამ შეიტყვეს თუ არა დეპარტამენტის განჩინება თფილისელ ამხანაგებმა, დაადგინეს ორგანიზაციაში წინადადება მიეცათ ნოესთვის საზღვარგარეთ გაპარულიყო და შეუდგენ კიდეც მისი გაქცევის მომზადებას ბათუმში. ნოესკი ორგანიზაციამ გაუგზავნა განჯაში გიგო წულუკიძე, რომელმაც გადასცა დადგენილება. ნოე უარზე იყო—ვიატკაში მოვიხდი სასჯელს და სამი წლის შემდეგ დავბრუნდები, თან კავშირი მექნება ჩემს ქვეყანასთან და მოძრაობასთან, უცხოეთში ყველაფერს მოწყვეტილი ვიქნებიო; მაგრამ იძულებული გახდა ქედი მოეხარა ორგანიზაციის სურვილის წინაშე და გიგო წულუკიძესთან ერთად გაემგზავრა ბათუმში. მატარებელმა გზაში დაიგვიანა და ნოემაც ვერ მიუსწრო იმ გემს, რომელზედაც ბათუმელ ამხანაგებს მისი გაქცევის საქმე მოეწყო; ნოე იძულებული იყო ეცადა მეორე გემისთვის, თავს ინახავდა არალეგალურ სტამბის ბინაზე, სამგზავრო ფული მას თფილისის, ქუთაისის და ბათუმის ამხანაგებმა შეუგროვეს. ორი კვირის მალვის შემდეგ, ბათუმის კომიტეტმა საზოგადოება «ნადეჟდას» გამგის საშუალებით მოახერხა მისი გაგზავნა ინგლისური სანავთო გემით...

მე გამამგზავრეს ციმბირში 1903 წლის ივლისში. შემდეგ წელში კი, თფილისის კომიტეტის დახმარებით (ფული და პასპორტი), გამოვიქეცი გადასახლებიდან და დავბრუნდი ჩვენს დედა.ქალაქში, საიდანაც გადავბარგდი ბაქოში. აქ ვმუშაობდი რუსეთის ს. დ. მ. პარტიის ცეკის საიდუმლო სტამბაში, საცა იბეჭდებოდა არალეგალური ლიტერატურა მთელი რუსეთისათვის («ერფურტის პროგრამა», «კომ. მანიფესტი» და სხვ.). ექვსი თვის შემდეგ იძულებული გავხდი, ავათმყოფობის გამო, ბაქო დამეტოვებია. გადავედი სამუშაოთ ბათუმში. აქედან, ადგილობრივ კომიტეტის დავალებით, მომიხდა 1905 წლის თებერვლის დამდეგს ქუთაისში ასვლა. ქუთაისიდან ისევ ბათუმში მივემგზავრებოდი აწ განსვენებულ არსენ წითლიძესან ერთად. რიონის სადგურს გასცილდა მატარებელი, როცა არსენმა ხელი წამკრა, ჩემი ყურადღება ჩემს პირდაპირ მჯდომ მგზავრს მიაქცია და ჩამიჩურჩულა—ძალიან გითვალთვალებს, ჯაშუში უნდა იყოს და ვაი თუ გიცნაო. მართლაც, მეტად საეჭვოთ მივიჩნიე ჩემს პირდაპირ მჯდომი მგზავრი. მაღალი ტანის, წვერგაპარსული, აბურძგნული ულვაშებით, მწვანე სათვალეებით. ჩოხაზე ჩოხა ეცვა და ეტყობოდა რომ ეს სამოსელი მისი ტანის არ იყო; ფეხზე წუღა მესტი და ზედ კიდევ კალოშები. ეს უცნაური მგზავრი თითქოს გაზეთს კითხულობდა. მაგრამ ნამდვილათ გაზეთიდან მე მითვალთვალებდა გულმოდგინეთ. ვადავწყვიტე. რომ ჯაშუში ამეკიდა და განვიძრახე კიდეც მისი თავიდან მოშორება. არსენს უთხარი ვაგონიდან წასულიყო. პატარა ხანში ავდექი და გავედი ვაგონის დერეფანში; ჩემის განძრახვით, თუ «ჯაშუში» გამომყვებოდა, დერეფნიდან უნდა გადამეგდო მატარებელის კარებში. ვაგონიდან გასასვლელი კარები ღია დავტოვე, გავაღე წინა კარები რომელიც უშუალოდ ჰაერზე გადიოდა და მოვემზადე «საომრად»: დერეფანში გამოსულ ჯაშუშისათვის ისე უნდა დამეკრა რომ გაბრუებულიყო და წამსვე ვაგონიდან უნდა გადამეგდო. ჩემი მოლოდინი გამართლდა: უცნობი გამომყვა დერეფანში, კარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციონერის მხრით ციხის გარეთ, თავისუფლებაში. აქ ჩვეულებრივ რევოლიუციონერი ხდებოდა არალეგალური, თუ მას მართველობა სდევდა, ამით თავს იფარავდა და მუშაობას განაგრძობდა. ასე არ მოქცეულა მაგ. კალინინი, ბოლშევიკების დღევანდელი დიდი ქურუმი, რომლის ორი საბუთი მოთავსებულია გიორგაძის წიგნში. ერთში ის სწერს: «ვაძლევ ხელწერილს თფილისის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელს მას შინა რომ მე ვალდებული ვარ ვიცხოვრო ქ. თფილისში გაუსვლელათ» და სხ., ხოლო მეორეში: «პატივი მაქვს უმორჩილესათ ვსთხოვო თფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამართველოს—ნება დამრთოს წავიდე ქ. თფილისიდან ქ. როსტოვში» (იხ. გვ. 181-182). აი ასეთი ხვეწნა თავისუფალი პოლიტიკური მოღვაწის სრულიად არ შეეფერება რევოლიუციონერის ეთიკას; გადასახლებიდან ამხანაგები მორბოდენ, იმალებოდენ და არა პოლიციის ნებართვას ითხოვდენ. მაგრამ აქედან დასკვნის გამოყვანა—კალინინი პოლიციის აგენტი ყოფილაო, შეუძლია მხოლოდ ხაჯაპურიძეთა მომავლინებელთ.

ამ რიგათ, ხალხის მტარვალებს არაფერი დასჩენიათ თავის ძალმომრეობის გასახანგრძლივებათ გარდა სიცრუისა, ხოლო სიცრუეს კი მოკლე ფეხები აქვს. მებრძოლი საქართველო, განსაკუთრებით მისი მებრძოლი ახალგაზდობა, რომელიც ძველ ამბებს არ მოსწრებია, ბოლშევიკურ პროვოკაციას ღირსეულათ დააფასებს და მათ ბრძოლის გაძლიერებით უპასუხებს.

ძველი.

◆

ნოე რამიშვილის

ტრაღიკულათ დაღუპვის ექვსი თვის თავი გადახდილ იქნება კვირას, 14 ივნისს,
Bagneux-ს სასაფლაოზე. თავის მოყრა—სასაფლაოს მთავარ კარებთან,
ნაშუადღევის 3 საათზე.

კარლო ჩხეიძის

გარდაცვალების ხუთი წლის თავი გადახდილ იქნება კვირას, 21 ივნისს,
პერლაშეზის სასაფლაოზე. თავის მოყრა მთავარ შესასვლელ კარებთან,
ნაშუადღევის 3 საათზე (მეტრო Gambetta).

ცდა ნ. ჟორდანიას გასანთავისუფლებლათ [*]

... საღამოს მატარებლით ქუთაისიდან დავბრუნდი. იქაც იგივე მითხრეს, რაც ბათუმში: მარქსისტები გლეხთა შორის მუშაობას უარს ყოფენ; ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია ჩავერიოთ ამ მოძრაობაში, მით უმეტეს, რომ დაწყებულია ის ჩვენს გარეშე და ახლა პასუხისგების აღება მის შედეგებში არ შეგვიძლია დავიკისროთ. ისე კი—დამაიმედა ექიმმა პარმენ ჭიჭინაძემ—ჩვენ ყოველგვარ მორალურ დახმარებას გაგიწევთო.

რა უნდა მექნა! არც ბათუმმა, არც ქუთაისმა არ გაიზიარა ჩვენ მიერ დაწყებული მოძრაობა. ეს ძალიან ცუდი იყო ყოველი მხრით, მარა ყველაზე უფრო მძიმე იყო ჩემთვის: რას იტყოდა ხალხი, რომელიც ერთი კვირაც არაა რაც დავაფიცე და რაც ვარწმუნებდი, რომ მოძრაობას მხარს დაუჭერდენ სწორეთ ისინი, ვინც ახლა მისგან იჯმნიან!

ეს მხარის დაჭერა კი სწორეთ ახლა, დღეს იყო საჭირო, რადგან ხვალ განსაცდელის დღეა. ელიან გენერალ გუბერნატორს სმაგინს, განთქმულს თავის სიმხეცით, მას თან მოჰყვება როტა კაზაკებისა, რომელთა ველურობაზე ქვანიც კი ღაღადებენ, მის მატარებელში სამი სატუსაღო ვაგონი იქნება. მოწვეულია ნიგოითის მთელი საზოგადოების ყრილობა, მაზრის უფროსი თავის ჩაფრებით უკვე ორი დღეა აქაა და თავის ბატონის შესახვედრათ ღირსეულათ ემზადება: ყვირის, ილანძღება ყველას გამათრახებით ემუქრება. ყველა კუთხეში ჩაფრებია ჩაყენებული რომ ხვალ ყრილობას არავინ დააკლდეს.

რა იქნება და რით გათავდება ყოველივე ეს?!

დილით ადრე სოფლის წარმომადგენელთა კრებაზე გავემგზავრე. ლანჩხუთიდან ნიგოითში მიმავალი გზა ნ. ჟორდანიას ეზოს წინ გაივლის. ეზოში, კაკლის ხის ქვეშ, ვიღაც უცნობი დავინახე. ვინ უნდა იყოს? ნოე არ არის (მე მას ვიცნობ სახით), ალბათ ვინმე მისი ამხანაგია, რომლებიც ხშირად გაივლ-გამოივლიან ხოლმე ნოეს მშობლების სანახავად. უნდა გამეგო ვინ იყო, იქნებ დამეხმაროს კიდეც. ეზოსკენ მიუხვიე, ჭიშკართან ნოეს მამა მომეგება, მიმიპატიჟა და თან დაამატა: წუხელის ნოე ჩამოვიდაო. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ვკითხე უცნობის ვინაობა. არ იცნობ? ეს სილიბისტრო ჯიბლაძეაო, წარმადგინა გასაცნობათ და თვითონ წივიდა.

დავჯექით თუ არა მე მოუყევი მას ჩემი თავგადასავალი და სადღეისო ამბავი. გავაღვიძოთ ახლავე ნოე, გავაცნოთ ყოველივე და შემდეგ მეც წამოვალ წარმომადგენელთა კრებაზეო. გააღვიძა ნოე და მეც დამიძახა. მან მოკლეთ გადასცა ჩემი ნაამბვი და და ჰკითხა—როგორ მოვიქცეთო. ნოე საჩქაროთ წამოდგა და ცოტა დაფიქრების შემდეგ სთქვა: საჭიროა ამთავითვე სერიოზული ყურადღება! შენ წაყევი ამას და იქ უფრო ადვილათ დაინახავ რაც საჭირო იქნება დღეისთვის, ხოლო მერმისისათვის როცა დაბრუნდები მოვილაპარაკოთო. მე მაგრათ ხელი ჩამომართვა, გამარჯვება მისურვა და დააყოლა: არ შეფიქრდე, აწი ჩვენ გაუძღვებით ამ დიდ საქმესო.

სიხარულით ფეხზე აღარ ვიდექი. ორმა უდიდესმა ავტორიტეტმა მოიწონა ჩვენ მიერ დაწყებული საქმე, მაშასადამე ახლა ვერც ნიგოითლები მეტყვიან რომ დავატყუე, შეცდომაში შევიყვანე. იმავ წუთში გავსწიეთ ნიგოითისაკენ. ყველანი მოსულიყვნენ და მოუთმენლათ გველოდენ. მე გავაცანი მათ ამხ. სილიბისტრო და მან წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა, რომლითაც კრება დიდათ კმაყოფილი დარჩა და გადაწყდა—რაც არ უნდა მოხდეს ყველა განაცხადებს რომ მათ არ იციან არც დამფიცებელი «ხუცესი», არც ყოფილა ფიცი, იყო მხოლოდ მეყანეების ჩვეულებრივი კრება და სხვა არაფერი...

წარმომადგენლები თავიანთ კუთხეებში გაეშურენ ხალხის გასამხნევებლათ, მე იქვე დავრჩი, სილიბისტრო სოფლისაკენ გაემართა.

შუადღისას სმაგინი მოვიდა. მოვიდა თუ არა ყრილობას კაზაკების ალყა შემოარტყა და დორბლიანი ყვირილის, გინების და მუქარის შემდეგ მოითხოვა პირველ ყოვლისა «ხუცესის» გაცემა. ხალხი სდუმდა. არც ერთი კრინტი. კიდევ ყვირილი, კიდევ მუქარა—ისევ სიჩუმე. მოთმინებიდან გამოსულმა ამოიღო სია, წაიკითხა 30 კაცის გვარი, გაიყვანა ცალკე და კაზაკების თანხლებით სატუსაღო ვაგონში გაგზავნა. ყრილობას კი დაემუქრა: თუ კიდევ რაიმე გაგიბედნიათ ყველას ციმბირში გადაგასახლებთო. აქედან სუფსაში წავიდა. აქაც ყვირილი, მუქარა, დატუსაღება. შემდეგ ჩოჩხათი, მიქელ-გაბრიელი, გურიანთა. ქუთაისის ციხე გაივსო დაჭერილებით. რამდენიმე დღის შემდეგ დაიჭირეს ნ. ჟორდანია და ისიც ქუთაისის ციხეში გაგზავნეს. ჩემი დარჩენა გურიაში მეტად გაძნელდა და საჭირო თადარიგის შემდეგ დროებით ქუთაისში გადავსახლდი. ასვლისათანავე ექიმმა პარმენ ჭიჭინაძემ მიმიწვია, გამომკითხა ამბები და მთხოვა მეორე დღეს მივსულიყავი მის საექიმო კაბინეთში, ვითარცა ავათმყოფი. ასეც მოვიქეცი. მის კაბინეთში დამხვდა მხოლოდ სამსონ კილაძე, რომელსაც მე შორიდან ვიცნობდი. და აი, აქ, საექიმო კაბინეთში, დიდის წინასიტყვაობით და გაფრთხილებით გადმომცეს რომ უნდათ გაანთავისუფლონ ციხიდან ნ. ჟორდანია. ეს მეტად დიდ კონსპირაციას ითხოვს, არ უნდა იცოდეს ვინმემ და თუ შენ გითხარი იმიტომ რომ იცნობ მამა მის და შეგაძლია იქონიო მასთან დამოკიდებულება ისე რომ ეს არ მიიქცევს სხვის ყურადღებასო.

პლანი განთავისუფლებისა სამმაგი იყო:

1. ზოგიერთ მსხვილ მოხელეების დახმარებით და საშუალებით დარწმუნება ჟანდარმთა სამართველოს, რომ ნ. ჟორდანია არაფერ შუაშია, და თუ სრულიად არა—თავდებში მაინც გაუშვან, ხოლო, როგორც კი გაუშვებენ გააპარონ უცხოეთში. შეიძლება თავდები დაიჭირონ, მარა მათ ყავთ ისეთი კაცი სათავდებოთ, რომელიც ამას შეურიგდება. ყოველივე ეს უნდა მოხდეს მამის საშვალებით, მისი თხოვნით და მაცადინეობით, რადგან ამ მოხელეებთან ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ იქონიებს კავშირს და ეს არც სასურველიაო. მეორე გზის მეთაურობას კი თვითონ ისინი კისრულობდენ. ეს გამოიხატებოდა შემდეგში: ამხ. ნოეს უნდა აღეძრა შუამდგომლობა ექიმის წინაშე, რომ ის შეემოწმებიათ რადგან ავათაა, და მიიღებდა თუ არა ავათმყოფობის მოწმობას აღეძრა შუამდგომლობა, დროებით მაინც, გაენთავისუფლებიათ და როგორც კი გაუშვებდენ—გააპარებდენ უცხოეთში. ავათმყოფობის მოწმობა უნდა მიეცა, თუ არ ვცდები, ექიმ ძნელაძეს, რომელიც მაშინ ციხის ექიმათ იყო. მასთან საქმის მოწყობას თვით პარმენი კისრულობდა. იყო კიდევ მესამე გზა, მარა უკიდურეს შემთხვევაში. მაშინ წესათ იყო რომ ტუსაღი ხშირათ გაყავდათ დასაკითხავად ჟანდარმთა სამართველოში. ნოეს უნდა ეთხოვა დაეკითხათ მისთვის და როგორმე მოხერხებულიყო, რომ გაეწვიათ სამართველოში, გზაში დახვდებოდენ და გაანთავისუფლებდენ. თუ სამართველოში გაძახება არ მოხერხდებოდა—მაშინ უნდა მოეთხოვა საექიმო კონსულტაცია, რისთვისაც მას წაიყვანდენ საგუბერნიო საექიმო განყოფილებაში და აქ კი კიდევ უფრო ადვილი იქნებოდა დახვედრა და განთავისუფლება. დახვედრის მოწყობა მიენდო ამხ. ხოფერიას და რევაზიშვილს [*]. ეს ძალიან სარისკო საქმე იყო და საჭირო იყო თვით ამხ. ნოეს თანხმობა, რადგან ვინ იცის, სროლაში იქნებ თვითონაც ტყვიის მსხვერპლი გამხდარიყო. ყოველივე ამის გამორკვევა და საერთოდ ციხესთან კავშირი დაკისრებული ჰქონდა ს. კილაძეს. მე გამოვიწვიე ლანჩხუთიდან ნიკო ჟორდანია, დავარიგე თუ ვისთვის უნდა მიემართა და რა უნდა ეთხოვა. პარმენი თავის მხრივ შეუდგა ექიმის საშვალებით საქმის მოწყობას. ხოფერია და რევაზიშვილიც მზათ იყვნენ დაძახებისათანავე ემოქმედათ. იყო სრული იმედი, რომ ერთი რომელიმე გზა სასურველ შედეგს მოიტანდა, მარა უეცრად, სრულიად მოულოდნელად, ნოე და რამდენიმე მისი ამხანაგი ფოთის ციხეში გადაიყვანეს. ეჭვი იქნა მიტანილი «ნადზირატელ» ნიკოლაიზე, რომელსაც მიწერ-მოწერა დაქონდა. შემდეგ ამ ნიკოლაის ესროლეს კიდეც, მარა გადარჩა. [*].

უზომო იყო ჩვენი მღელვარება. ყველაზე მეტად ხოფერია და რევაზიშვლი ღელავდენ. შემდეგ გავიგეთ რომ ისინი, დაუკითხავათ წასულიყვენ ფოთში მის გასანთავისუფლებლათ, მაგრამ ვერაფერს გახდენ; პოლიციამ იჭვი აიღო და იძულებული შეიქნენ უკან გამობრუნებულიყვენ. რამდენიმე თვის შემდეგ ამხ. ნოე ფოთის ციხიდან გაანთავისუფლეს და განაჩენის მოლოდინში განჯაში გადაასახლეს პოლიციის მხედველობის ქვეშ. შემდეგ კი, როცა განეჩენი მოვიდა — 3 წ. ვიატკის გუბერნია —ის თბილისელი ამხანაგების წინადადებით და ბათუმელი ამხანაგების მეცადინეობით კადევაც გაიპარა უცხოეთში...

გრ. ურატაძე.

---

[*] ეს ეპიზოდი ამოღებულია ჩემი მოგონების რვეულიდან და შეეხება 1901-1902 წლის გლეხთა მოძრაობის დასაწყისს ჩვენში. გ. უ.

[*] ეს ის რევაზიშვილია, რომელიც თავის ამხანაგებით შემდეგ თავს დაესხა ქუთასში «კანვოის», რომელსაც მოყავდა დაჭერილი ამხ. ნ. ხომერიკი ამხანაგებით. ატყდა სროლა. ხომერიკი გაიქცა, მარა საბრალო რევაზიშვილი იქვე მოჰკლეს. გ. უ.

[*] ეს ეპიზოდი უფრო ვრცლათ აწერილი აქვს განსვენებულ პარმენ ჭიჭინაძეს თავის დღიურში, რომელიც იწერებოდა ჩეკაში, სადაც ერთად ვიჯექით და საერთო მეხსიერებით ყველა მისი დეტალები აღვადგინეთ. არ ვიცი კი ვის ხელშია ახლა მისი დღიური. გ. უ.

◆

დამსახურებული ჯილდო

ცნობილმა კარიერისტმა შალვა ელიავამ დაიმსახურა ჯილდო—ის დანიშნეს საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის კომისარის თანაშემწეთ. რით დაიმსახურა ასეთი აღმატება—იკითხავთ. ძნელი არ იქნება ამის გამოცნობა, თუ მის უკანასკნელ ამბებს გავიხსენებთ.

შალვას ვაჭრობა არავის გაუგონია, რომ ამ დარგში თავის გამოჩენით უმაღლესი სავაჭრო თანამდებობა მიეღო. მართალია ბევრს ლაპარაკობდენ ბოლო დროს მის განსაკუთრებით «სავაჭრო» ნიჭზე, მაგრამ ეს მისი ნიჭი გამოჩნდა კერძოთ მისი პირადი სარგებლობის სფეროში. მთელი საქართველო მას აშკარად აბრალებდა სამუზეუმო ნივთების დაჩემებას, საწყობის გაძარცვას და თავის და თავის დამქაშების სასარგებლოთ გაყიდვას. სია ამ გაცარცული ნივთების კიდევაც იყო გამოცხადებული «კომუნისტში» და იქვე გარკვეული, რომ ქურდების კვალს ვითომ ვერც კი მიაგნეს. ეს ოფიციალურათ, ხოლო არაოფიციალურათ კომუნისტები შალვა ელიავას

გამოიხურა, სათვალეები მოიხსნა, გამიღიმა და უეცრად... ნოე ჟორდანია მომევლინა. ჟრუანტელმა ამიტანა... გადავეხვიეთ ერთმანეთს. ნოემ საჩქაროთ მითხრა—მუშა ვანო დურგლიშვილი მახლავს, შორიდან მადევნებს თვალყურს, ბათუმში მივდივარ, ისე უნდა ჩამიყვანოთ და დამაბინაოთ, რომ ჩვენებმაც ვერ გაიგონ ჩემი ჩასვლაო. დაბრუნდა ვაგონში. მე კი დიდხანს ვიდექი დერეფანში გარინდებული და განგებას უმადლიდი, რომ საშინელება თავიდან ამაცდინა...

ბათუმში მშვიდობით ჩავედით, მივიყვანე მესტამბე ჩანტლაძის ბინაზე. ნოეს მაჩაბლის პასპორტი ჰქონდა, მეც ის დიასახლის ქართლელ თავადათ გავაცანი. მეორე დღეს. ნოეს თხოვნით, ვინახულე კარლო ჩხეიძე და იმავე საღამოს მასთან გაიმართა თათბირი ამხანაგების ვიწრო წრეში. ნოე ისე გამოცვლილი იყო, რომ ბევრმა ვერც იცნო, სანამ ლაპარაკი არ დაიწყო. აქვე გადაწყდა მოეწყოთ მეორე დღისთვის უფრო ფართო წრეში კრება ლონდონის ყრილობაზე მომხდარ ამბების შესახებ. ამ კრებას სხვათა შორის დაესწრო რუსი ბოლშევიკი, რუსეთის ცეკიდან გამოგზავნილი ბოლშევიკების პოზიციის დასაცავათ; ნოე იცავდა მენშევიკების დებულებებს. ეს იყო ბათუმში პირველი დაპირისპირება ორი მიმდინარეობისა. კრებას დაესწრენ, სხვათა შორის, კ. ჩხეიძე, იასონ მეგრელიძე, მიშა არსენიძე, გრ. სოლორაშვილი, ის. რამიშვილი, კ. გოგოლაძე და კიდევ რამოდენიმე ამხანაგი, რომელთა გვარები არ მახსოვს. მახსოვს, კარლომ ასე გაუკეთა დასკვნა კრებას: ეს განხეთქილება დიდათ მნიშვნელოვანი მოვლენა ყოფილა, საჭიროა საფუძვლიანათ შესწავლა ორივე მიმდინარეობის, ნოეს უნდა უმადლოდეთ, რომ ასე დაწვრილებით და ობიექტიურად გაგვაცნო საქმის ვითარებაო.

ნოეს ბათუმში ყოფნა მაინც გახმაურდა მუშათა წრეებში; მოწინავე მუშებმა მოითხოვეს მისი მოსმენა. გაიმართა ფართო კრება კოწია წულაძის და ივანე მგელაძის ბინაზე, ბარცხანაში. დარბაზი გაჭედილი იყო მუშებით. ამ კრებაზე გაირკვა მუშებისათვის ნამდვილი არსება განხეთქილებისა. ამის შემდეგ ბათუმის მუშების დიდი უმრავლესობა ორგანიზაციითურთ მენშევიზმს მიემხრენ.

ნოეს ბათუმში ჩასვლა მოხდა ცნობილ 9 იანვრის დღის ერთი თვის შემდეგ (თებერვალი 1905 წ.). ეს ხომ დიდი მღელვარების და დიდი ამბების მოლოდინის და მზადების ხანა იყო. ნოე იძულებული იყო კიდევ რამოდენიმე დღე დარჩენილიყო ბათუმში და დახმარებოდა ხელმძღვანელ ამხანაგებს რჩევა-დარიგებებით, ფურცლების შედგენით და სხვ.

ბათუმიდან გავემგზავრეთ ქუთაისში, გურიაში გავლით. ჩამოვხტით ნიგოითში, მივედით სინო კალანდარიშვილთან, რაიონის წარმომადგენელთან. იმ საღამოსვე გაიმართა სინოსას (დიმიტრი კალანდარიშვილის სახლში) ადგილობრივი მოწინავე გლეხების კრება. ნოეს წინადადებით მე წარმოვთქვი სიტყვა, ის კი გლეხებს ესაუბრებოდა შეკითხვების სახით—უნდოდა გარკვეულიყო მათ სულისკვეთებაში. განცვიფრებული იყო გლეხების საღი მსჯელობით და უკვე გარკვეული რევოლიუციური სულისკვეთებით. იმ ღამესვე შეიარაღებული რაზმელების თანხლებით ნოე მივაცილეთ ლანჩხუთში, საკუთარ სახლში, სადაც ის რამოდენიმე საათით დარჩა თავის დედმამასთან. გათენებისას დავბრუნდით ნიგოითში. შემდეგ საღამოს დავესწარით კრებას ჭანჭათში, მესამე ღამეს კიდევ ხიდისთავში, სადაც მრავალ მოწინავე გლეხმა შეიყარა თავი; ამ კრებას დაესწრენ აგრეთვე ბათუმიდან ახლად ამოსული წევრები გურიის კომიტეტისა იასონ მეგრელიძე და გოგილო ცინცაძე. აქ შემუშავდა გეგმა კრიმგირეის [*] შესახვედრ კამპანიისა, შედგენილ იქნა სათანადო ფურცლები და სხვ.. შემდეგი კრება გაიმართა ჩოხატაურის რაიონში, ხოლო აქედან გავსწიეთ ქუთაისში. აქაც ნოემ ინახულა უახლოესი ამხანაგები და ორ-სამ დღეში დავაპირეთ თფილისში წასვლა; ჩავჯექით მატარებელში. რიონის სადგურზე, როცა ბათუმიდან მომავალ მატარებელს ვუცდიდით, ნოემ შენიშნა რომ მას უთვალთვალებდა ერთი ჟანდარმი; აღმოჩნდა სწორეთ ის ჟანდარმი, რომელიც წინათ ლანჩხუთის სადგურზე მსახურობდა, ეჭვი არ იყო, მან იცნო ნოე და მისი დატუსაღების განძრახვა ჰქონდა. მაგრამ სანამ ის დამხმარეს მოიყვანდა, თფილისის მატარებელიც ჩამოდგა, ჩვენ საჩქაროთ შევარდით პირველ ვაგონში; საბედნიეროთ მატარებელი ხალხით გაჭედილი იყო. სწრაფად პირველი ვაგონიდან მეორეში გადავედით, მეორედან მესამეში და ასე ვიდოდით ვაგონიდან ვაგონში, ხოლო ჟანდარმები კვალდაკვალ მოგვდევდენ. ამ «დოლში» მატარებელიც დაიძრა. როცა სადგურს მოუხვია და ორთქლმავალის წყალსადენს გაუსწორდა, ჩვენ უკანა ვაგონში ვიმყოფებოდით, ბევრი აღარ გვიფიქრია. გადავხტით მიმავალ მატარებლიდან, ხოლო ჩვენი მდევრები მატარებელმა აჯამეთისაკენ გააქანა. ასე დაუძვერით ხელიდან ჟანდარმებს, ვკარით თავი საღორიას ტყეში და შევყევით ქუთაისისაკენ. ქუთაისში ამხანაგებმა დაგვაბინავეს იასონ ნიკოლაიშვილისას. აქ რამოდენიმე დღე დავყავით. ყველიერი იყო, რითაც მე ვისარგებლე, დალაქს ხელოვნური წვერი გავაკეთებიე და წავედი თფილისში; რამდენიმე დღეში ნოეც, აგრეთვე ხელოვნური წვერით და ევროპიულად გადაცმული. ჩამოვიდა თფილისში. ხოლო რამოდენიმე დღის შემდეგ გავემგზავრეთ ბაქოში. ნოე დაბინავდა სეით დევდარიანის ძმისას და სეითის შემწეობით მოწყობილ იქნა კრებები, რომლებზედაც ნოე ბოლშევიზმს ებრძოდა; მის წინააღმდეგ გამოდიოდა სხვა ცნობილ ბოლშევიკებთან ერთად სოსო ჯუღაშვილი, ეხლანდელი სტალინი. აქაც ნოეს მოხსენებების გავლენით მუშების დიდი ნაწილი მენშევიზმს მიემხრო.

მე მალე მომიხდა თფილისში დაბრუნება, სილიბისტრო და ბევრი სხვა მისი დაზრდილი მუშაკები (კ. გოგუა, ლ. მამალაძე და სხვ.) კაი ხანია ციმბირში იმყოფებოდენ. მოძრაობაში იყვენ ჩაბმული შედარებით ახალი ძალები: ნ. რამიშვილი, ნ. ხომერიკი, არჩილ ჯაფარიძე, მ. არსენიძე და სხვ.. ესენი ყველა მენშევიზმს მიემხრენ. ჩვენი ამოცანა იყო ბოლშევიკურ განხეთქილების მიერ დანგრეულ ორგანიზაციის აღდგენა, კავშირების გაბმა, სტამბის მოწყობა და სხვ.. და როცა ნოე ბაქოდან თფილისში დაბრუნდა ადგილობრივ ორგანიზაციებთან კავშირების გაბმა დასრულდა და ნოემ ითავა არალეგალურ გამომცემლობის შექმნა. სანამ სტამბას მოვაწყობდით, შევძელით გამოგვეცა პირველი ნომერი არალეგალური «სოციალ-დემოკრატისა»—«კვალის» ფორმატის, 16 გვეოდიანი; ავაწყვეთ და დავბეჭდეთ ლეგალურ (ჩარკვიანის) სტამბაში არალეგალურათ. ამ ჟურნალმა, რომლის სულის ჩამდგმელი ნოე იყო, გაურკვია პირველათ წერილობით ქართველ მუშებს ბოლშევიკ-მენშევიკების განხეთქილება და დაუსვა ბოლშევიზმს შემდეგში ისტორიის მიერ სავსებით გამართლებული დიაგნოზი. ახლად შექმნილმა თფილისის კომიტეტმა, რომელსაც ნოე ხელმძღვანელობდა, მოაწყო დიდი საიდუმლო სტამბა, სადაც იბეჭდებოდა სხვა გამოცემებთან ერთად ჟურნალი «სოციალ-დემოკრატი».

მაგრამ 1905-ს გაზაფხულზე საერთო პოლიტიკური მდგომარეობა რუსეთში და ჩვენში ისე ჩქარა ვითარდებოდა, რომ საკმარისი აღარ იყო მარტო სიტყვით და ბეჭდვით ბრძოლა, საჭირო გახდა რევოლიუციის შეიარაღება და სხვათა შორის თფილისის კომიტეტმაც მოაწყო ავჭალაში ბომბების საკეთებელი ლაბორატორია, რომლისთვისაც მოწვეულ იქნა ორი უცხო მცოდნე ქიმიკოსები; ამათთან ერთად კომიტეტმა გამოჰყო მოწინავე მუშებიდან რამოდენიმე პირი; პირველ საცდელ გასინჯვას ბომბებისას არსენალის გადაღმა ხევში დაესწრენ ჩვენთან ერთად ისიდორე და ნოე რამიშვილი, ნოე ჟორდანია და სხ.

მთელ ამ არალეგალურ მუშაობას თავი მოუყარა ამიერ-კავკასიის მენშევიკურ ორგანიზაციების კონფერენციამ თფილისში; ამ კონფერენციას მოუსწრო ციმბირიდან დაბრუნებულმა სილიბისტრო ჯიბლაძემ, რომელიც აღტაცებაში მოიყვანა მას შემდეგ ბრძოლის ასპარეზზე გამოსულმა ახალგაზდა მუშებმა და იტელიგენტებმა.

აქ მე არ შემიძლია თუ გინდ გაკვრით მოვიხსენიო 1905 წლის მიწურულში დატრიალებული დიდი ამბები. ვიტყვი მხოლოდ რომ მთელს გმირულ რევოლიუციურ მოძრაობას ჩვენში ხელმძღვანელობდა ჩვენი მენშევიკური ორგანიზაციები.

დადგა რეაქცია. ჩვენ იძულებული ვიყავით გადავსულიყავით თავდაცვაზე; ორგანიზაციებმა შესძლო სასიცოცხლო ძალების შენახვა და მოძრაობის გადარჩენა იმ ავანტიურისტულ ექსცესებიდან, რომელიც გააჩაღეს ბოლშევიკებმა. მოვიდა პირველი სახელმწიფო დუმის არჩევნები; რომელმაც ნათელყო, რომ ჩვენი ორგანიზაციები კვლავ მასის ღვიძლი შვილი იყო. რუსეთის პარტიაში ლენინის «ბოიკოტი» იმარჯვებს. ჩვენი ორგანიზაცია კი, ნოეს ხელმძღვანელობით სწრაფად აფასებს დუმის მნიშვნელობას და როლს რევოლიუციურ მოძრაობისათვის. პარტია ენერგიულ მონაწილეობას იღებს არჩევნებში და კიდეც ბრწყინვალეთ იმარჯვებს.

თფილისი, აქამდე სოლოლაკის ბურჟუაზიის ციხე-სიმაგრე, ნოეს ირჩევს თავის დეპუტატათ. ეს არის პირველი მომენტი ნოეს წინასწარმეტყველობის ასრულებისა, რომელიც მან ათიოდე წლის წინ დასწერა: ქართველი დემოკრატიის ასპარეზზე გამოსვლა დაუბრუნებს ქართველ ერს მის დედაქალაქსო. ეს არის ამავე დროს დასრულება ჩვენი მოძრაობის იმ დიადი, გმირული ეპოქისა, რომელმაც საქვეყნოთ აშკარა ჰყო ჩვენი ხალხის ძალა...

ვლასა მგელაძე.

◆

---

[*] კრიმგირეი იყო კავკასიის «ნამესტნიკის» თანაშემწე. ვორონცოვ-დაშკოვმა გაგზავნა ის გურიაში ახლად დაწყებულ მოძრაობის მიზეზების და ხალხის სურვილების გასაგებათ.

კავკასიიდან გადაყვანასაც კი ითხოვდენ, იმდენათ მან სახელი გაიტეხაო. ასეთ ჩიხში მომწყვდეული შალვა ეძებს გამოსავალს და კიდევაც მონახა. ის გასული წლის დეკემბერში ჩნდება პარიჟში დატვირთული «წმინდა» ნივთებით. ჩამოიტანა მე-14 საუკუნის ქართული ხატი და ერთ დედაკაცს საჩუქრათ მისცა, გაყიდე და ისარგებლეო. მან მართლაც გაყიდა 60 ათას ფრანკათ, ხოლო მყიდველი ახლა მას აფასებს თანახმად ექსპერტების შემოწმებისა ნახევარ მილიონათ. ხატი მართლაც შესანიშნავია თავის მინაქრებით და ნაწილებით. ყოფილა თავის დროზე ისტორიულ წიგნებში აწერილი, ეკუთვნოდა ორბელიანთა გვარს. ამ ხატთან ერთად იმავე ჩემოდანში ყოფილა ძველი ქართული სახარება და სხვა ამგვარი განძები, რაიცა ისე გააპარ-გამოაპარეს რომ კვალიც ველარ აღმოვაჩინეთ.

აი მთელი «სავაჭრო» მოღვაწეობა ბატონი შალვასი და აბა ამისთვის ვინ დანიშნავდა ვაჭრობის კომისრათ. მან უეჭველია მოსკოვს უფრო დიდი სამსახური გაუწია, ვინემ ხატების გაჩუქება. და თუ მოვიგონებთ რომ იმავე დეკემბერში, როცა შალვა პარიჟში ხატებზე ზრუნავდა, მოხდა ნ. რამიშვილის მკვლელობა, ცხადი იქნება, რომ მისი პარიჟში ჩამოსვლის მიზანი ხატების და დედაკაცების დაახლოვება არ ყოფილა.

დიახ, შალვა ელიავამ დაიმსახურა უმაღლესი ჯილდო; ნ. რამიშვილმა ბევრი მათგანი დააწინაურა, ბერია ამიერ-კავკასიის ჩეკის მეთაური გახდა, ფილიპე მახარაძე ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმის თავმჯდომარეთ და სხ. ახლა ხაჭაპურიძეც მოელოდეს დაწინაურებას, თუმცა ამ ვაჟბატონს კოვზი ნაცარში ჩაუარდა, თავისი მეტის მეტის სიბრიყვით. ყოველ შემთხვევაში, უმაღლეს ჯილდოს მაძიებელ ქართველ კომუნისტემა ამიერიდან იცის როგორ მოიქცეს—ან პარიჟში ჩამოვიდეს მენშევიკებზე სანადიროთ, ან ნიკოლოზ-სტალინის ოხრანკაში ჩაჯდეს და იქ ყალბი ბრალდებები ადგინოს.

◆

წამება გეპეუში

... ღამის სამ საათზე, ერთეულიდან, № 28 ოთახში ამიყვანეს. საქმეებით დატვირთული შკაფი კედელს მოაცილეს, გაიხსნა კედელი და სიბნელეში მიკრეს თავი—ეს საჯდომი კვადრატიული მეტრნახევარი იყო. წყალი წვეთდა ჩემს იატაკზე იქვე მდგომ წყლის ბაკიდან სიბნელეში მუდმივი ნოტიო იყო და ჩემი კანიც სულ სველი:—12 დღე.

ჩემთან არავინ შემოდიოდა, დაკეტილ კედლის კარებს დროგამოშვებით მოადგებოდა სულთანიშვილი (გეპეუს რწმუნებული) და მუდამ ერთსადაიმავეს შემომძახებდა: «რას შვრები? მაძლევ ჩვენებას?» მეც დროგამოშვებით ხან გავცემდი ხმას, ხან არა.

სიმშილით და სიცხით თავბრუ მეხვეოდა, მეხუთე დღეს ზეზე წამოდგომა გამიძნელდა.

მეათე დღეს გამიყვანეს საგამომძიებო ოთახში, აქ მელიქაძე (ლავრენტი ბერიას მარჯვენა ხელია) და სულთანიშვილი დამხვდენ, ურთიერთ შორის რუსულათ ლაპარაკობენ. მაგიდაზე უდევთ საქმე, რომელსაც შემდეგი წარწერა აქვს «დოპოლნიტელნი დოპროს ბ... ა... წ...». საუბარი ჩემზეა, რომ მე შემიდგენია თფილისის კომიტეტი, ასახელებენ ოთხივე წევრს კომიტეტისა, რომ ტეკა აერთიანებდა 526 კაცს და 13 კოლექტივს, ყველა ეს ცნობები ჩემმა გამომძიებელმა ოქმიდან ამოუკითხა მის ირგლივ მჯდომთ.

ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა. ამ საქმის არსებობა დღესაც ვერ გამომირკვევია. ისეთი გვარები იყო ჩამოთვლილი დამატებითი დაკითხვის ოქმში, რომ ჩემთვის ძალზე საეჭვოა იმ ხალხის არსებობა საერთოდ.. 13 კოლექტივიდან მხოლოდ 4-ს ასახელებენ, ვაკითხები დანარჩენი რა უყავით? «ჯერ ჯერობით ესეც საკმარისიაო» და მომთხოვა ხელის მოწერა; მე ხელის მოწერაზე რასაკვირველია უარი განვაცხადე და ისევ წინანდელ სიბნელეში დამაბრუნეს. იქ დავყავი კვლავ ოთხი დღე, არ მახსოვს როგორ გადამიყვანეს მე-7-ე საკანში, როდესაც გონს მოვედი, დავინახე შიო ბათმანიშვილი, რომელიც ისე მევლებოდა, როგორც დედაშვილს.

ორი კვირის შემდეგ მეტეხში გადაგვიყვანეს, აქ კარანტინიდანვე დაგვაბრუნეს უკან: მე, ვ. ბურჭულაძე, მ. არობელიძე, მ. თოხაძე, ბ. ჟორდანია, მიშა ნაცვალაძე და ჭეიშვილი. როგორც შემდეგ გამოირკვა ჩვენი გადაყვანა უბრალო მანევრი ყოფილა—ურთიერთშორის დამოკიდებულების გამოსაცნობათ და ამის შემდეგ გეპეუს საკნებს არ მოვცილებივარ. მთელი ჩემი დაკითხვა მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ ოქმზე ხელისმოწერის გარშემო ტრიალებდა. ერთხელ სულთანიშვილმა დამექადა კიდეც «თუ ხელს მოაწერ არავის ვეტყვი, თუ არა და ყველას დაუმტკიცებ, რომ ოქმი შენია, რომელზედაც ხელი მოწერილი არა გაქვსო». ის შეეცადა კიდეც ამის დამტკიცებას. გაავრცელა ხმა აგენტების საშუალებით მეტეხში და გეპეუს ყველა საკნებში, ბოლოს ასეთი წინადადებით მომმართა: «დღეიდან მენშევიკები შენ არ მიგიღებენ, მოსწყდები ყველაფერს, დაიღუპები, ჩვენი მიზანია გადავარჩინოთ ყველა სასიცოცხლო ძალა დაღუპვას, ამიტომ ერთი გზა ღა დაგრჩენია—მოხვიდე ჩვენთან, რამდენათ ადრე გააკეთებ ამას, იმდენათ უკეთესია»-ო, მე კი სიმწრის ოფლით ვიწურებოდი. ძნელია ამის წარმოდგენა, ვისაც არ გამოუცდია საშინელი მორალური წამება ის ვერც დააფასებს, ან ადვილათ აფასებს ამგვარ მოვლენას.

სულთანიშვილმა კიდევ მრავალ სხვა ფორმებში გამიმეორა ეს აზრი და მომთხოვა პასუხი. ჩემი პასუხი იყო—ასეთ რაიმეში გულუბრყვილოები დაიჯერებენ, მაგრამ გაივლის დრო და ისინიც დაინახავენ თავიანთ სისულელეს, ყოველ შემთხვევაში მე მირჩევნია მთლიანად ჩამოვსცილდე პოლიტიკურ ცხოვრებას და სოციალდემოკრატათ მოვკვდე. ვინემ ბოლშევიკური კარიერით სამოთხეში ვიზეიმოთქვა. ასე დაილია სუსხიანი ზამთარი ჩეკის ნესტიან საკნებში, სულთანიშვილის შხამიანი ნოტაციების კითხვით. მე სულ ავადმყოფი ვიყავი, ზაფხულის თეთრ ხალათში მუდამ მციოდა და გამუდმებით ვკანკალებდი. ყველაფერი ეს სულთანიშვილს სიამოვნებას გვრიდა.

2 იანვარს გამიძახეს. ავად ვიყავ—ანგინა მჭირდა. თავშეხვეული თეთრი ბლუზის ამარა ავედი. კვლავ «ჩვენებაზე» ხელის მოწერა მომთხოვეს. უარი უთხარი. სიტყვა არ გაუგრძელებია—წავიდეთო. წავედით. მგონია მელიქაძესთან მივყევარ—არ გამართლდა. რამოდენიმე მოსახვევი და გამოჩნდა «ჟენსკაია უბორნაია № 00». მივხვდი რაც მელოდა. კარები გაიღო და შიგ ჩამკეტა. მაგრამ ეს განსხვავდება წინანდელისაგან: მოცულობა კვად. საჟენზე მეტი იქნება ფარღალალა კარებით და დამტვრეული ფანჯრებით. მოსამსახურეების ფეხისადგილი იქვე გვერდითაა და მთელი დღე-ღამის განმავლობაში მოწამე ხარ... (აქ მჯდარა ამალია მშვიდობაძე, ლ. ბერიძე, მ. კოპიძე, გ. ფოცხიშვილი და სხ.). აქ ჩამკეტეს 13 დღის განმავლობაში: მე-8 დღეს კი გადმოცემა მომცეს, სახლიდან გამოგზავნილი. მხოლოდ უწყლოთ, რის გამო ჭამა შეუძლებელი იყო. ვმწყესავდი კი თაგვებისაგან. ყინვისაგან დასივდა ჯერ ხელის თითები, შემდეგ ფეხის გვერდები დაბოლოს ცხვირი. ყოველ დამთქნარებაზე ცხვირი შიგნიდან სკდებოდა და სისხლი მოდიოდა. მე-9 დღეს აქვე შემოვიდა სულთანიშვილი ქაღალდით ხელში და დაიწყო დაკითხვა. როდესაც პასუხი ვერ მიიღო, გაჯავრებულმა კარები მოიხურა, «მაქვე ჩაკვდები» ო მომძახა და წავიდა. მე-13 დღეს გადამიყვანეს მე-5 ერთეულში, სადაც იჯდა გრიშა ნიკოლაიშვილი (რამდენიმე ტყვიით დაჭრილი) და გაბრიელ ჭითავა. მათი დახმარებით ადრე გამოვრჩი და 1 თებერვალს. ყოველგვარი ნახვისა და ტანსაცმელ-ფულის გარეშ, ნავთლუღში მიკრეს თავი ეტაპში. 8-ს ბუტირკის ციხეში ვიჯექით. 13-ს კი გადამიყვანეს «პოლიცეისკაია ბაშნია»-ში, სადაც სამი დღე დავყავი. და იქიდან კიდევ ოგპეუში. იქ დავრჩი 27 დღე. დამკითხეს აღნიშნული «ჩვენების» გამო. მე განუმარტე თუ რა პირობებში იქნა დაწერილი. გამომძიებელმა ვითომ გაიკვირა «ეს წარმოუდგენელია»-ო და მთხოვა დამეხატა პირველი «ფეხის ადგილი» და დამესახელებია დეტალურად თუ სად იყო მოთავსებული ის. აქედან კვლავ «პოლიცეისკაია ბაშნია»-ში დამაბრუნეს. იქ ჩემთან მოიყვანეს, უკვე დაავადმყოფებული ილია სასანია. პირველ მაისს გამიყვანეს ეტაპი—გამომიცხადეს სამი წლით მარიის ოლქში, ქ. კრასნოკოვშაისკში. სამი ჯგუფი გაგვამგზავრეს, მაგრამ ჩვენი ჯგუფი უკანვე დააბრუნეს დანიშნულ ქალაქში სადგურის უქონლობის გამო. გავიგე რომ № 57 საკანში ზის ვანო ქარცივაძე, მიხაკო ბაქუნაიშვილი და 50-ამდე სხვა ქართველები. მეც მათთან მოვხვდი. ერთი კვირა დავყავი ვ. ქარცივაძესთან ერთად. ყოველ დღე 2-3 საათი დანიშნული იყო «სამეცადინოთ». მაგრამ მეცადინეობის მაგიერ მიდიოდა მოთხრობა ვანოსი, მისი დატყვევებისა და წამების შესახებ და აგრეთვე ემიგრანტულ ცხოვრებაზე. მიხაკო კი გვაცნობდა გადმოსახლებულთა ცხოვრებას. გავიდა ერთი კვირა. 5 მაისს კი კვლავ გამოიძახეს კრასნოკოკშაისკის ეტაპი, ეხლა უკვე 15 კაცი (8 ახალი დაუმატეს). და გაგვგზავნეს. 13 დღე ყაზანის ციხეში ვიჯექით და 20 მაისს კი ჩავედით აღნიშნულ ქალაქში. იქ კვლავ დაკითხვები... და დაგვანაწილეს ახლო მახლო რაიონებში. 8 ადგილობრივ დაგვტოვეს და 7-ი კი გადაგზავნეს კანტონ სერნუსში. დატოვებულთაგან მე და დათიკო ქაცარავას მოქვცეს სამჯერ გამოცხადება, დანარჩენებს კი ორჯერ კვირაში...

მურდუხი.

◆

ნოე გოგუაძე

გასული წლის დასასრულს ციმბირის სუსხიან მიდამოში გარდაიცვალა შეუდარებელი მებრძოლი, ნოე საბას ძე გოგუაძე.

ამხ. ნოე გავიცანი დამოუკიდებლობის დროს, ბრძოლის ხანებში. მას მეტად მკაცრი, თითქმის მრისხანე გარეგნობა ჰქონდა და მართლაც ასეთი იყო ის ბრძოლაში. სამაგიეროთ, სხვა იყო ის კერძო ცხოვრებაში, ამხანაგურ ურთიერთობაში—მეტად გულკეთილი და მოსიყვარულე. მკითხველმა იცის რომ ჩვენს ნორჩ რესპუბლიკას ხშირად უხდებოდა ხელში იარაღის აღება მომხდური მტრის თუ შიგნიდან აფეთქების მოსურნეთა ასალაგმავათ. დაიწყებოდა თუ არა ომი, ნოე მოაშურებდა ჩვენს რაზმს, ხოლო ბრძოლის დასრულების შემდეგ თავის საყვარელ ოჯახს დაუბრუნდებოდა. ეს ისე რეგულიარულათ ხდებოდა, რომ ამა თუ იმ ომის დაწყებისთანავე ჩვენი რაზმელები იტყოდენ: სადაა ნოე მოვაო. ერთხელ მის მეგობრებმა რაზმში გადავწყვიტეთ გვეთხოვა მუდმივ დარჩენილიყო ჩვენთან საყვარელი და სასახელო მებრძოლი. ნოემ უარი გვითხრა: როცა განსაცდელი მოგვადგება, თოფს უნდა ვსტაცოთ ხელი; მაგრამ მტრის უკუგდების შემდეგ თოხს უნდა დავუბრუნდეთ, თუ გვინდა ჩვენი ქვეყანა მაგრად იდგეს ფეხზეო...

განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ნოეს როლი ჩვენს უკანასკნელ და საბედისწერო ბრძოლაში, 1921 წლის თებერვალში. როცა რაზმის უფროსის ამხ. ვალ. გოგუაძის მეთაურობით ბრძოლის ველზე გავედით სოღანლუღ-კუმისს შორის და პირისპირ შევეტაკეთ რუსის ურდოებს, ნოეს ვაჟკაცური ყიჟინი ყველას ამხნევებდა. მახსოვს ერთხელ ნოე გადახტა კიდეც ჯავსნოსნიდან და ხელდახელ შეებრძოლა წითელ-არმიელებს...

ომი დამთავრდა. შემოვიდა რუსის ჯარები; ჯავშნოსანი ნატანებში დავტოვეთ, იქვე გამოვეთხოვე ნოეს. ამის შემდეგ ორჯერ მქონდა შემთხვევა ნოე მენახა მისას. პირველათ ალფესიმ დამიბარა საქმეების გამო; ალფესი და ნოე ახალდაწყებულ სახლზე მუშაობდენ; როცა ალფესის ვაცნობე, რომ ხელისუფლებას გადაწყვეტილი ჰქონდა რაც არ უნდა დამჯდარიყო ჩაეგდო ის ხელში. მიპასუხა:—სხვას არაფერს ვართმევ, თვით გაიძახიან «შრომის სამეფოს ვქმნითო» და შრომას როგორ ამიკრძალავენო... უკანასკნელად ვნახე ნოე, როცა საყვარელი და სახელოვანი ალფესის ვერაგულად მოჰკლეს ავათმყოფი.—ხმალმა გვიღალატა, ალფესი მოგვიკლეს, მარა მტერი ბრძოლაზე ხელს ვერ აგვაღებიებს, მებრძოლები ბევრი დარჩაო—მითხრა ნოემ... მართლაც ალფესის საქმე ნოემ გააგრძელა. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო 1924 წ. აჯანყებაში. ბოლომდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ნოე მტკიცეთ შერჩა ჩვენი ბრძოლის ხაზს და საქართველოსათვის წამებულთა თაიგულს შეუერთდა. ერთით ის ბედნიერი გახდა: მას გადასახლებაში მასან მყოფმა ამხანაგებმა დაუხურეს თვალები და ალფესის და ალექსანდრეს გვერდით მიუჩინეს საუკუნოთ განსვენების ალაგი.

ამგვარად მტერმა საბა გოგუაძის სამაგალითო ოჯახი, რომელსაც ჩვენში შრომის სამეფოს ეძახდენ. სანახევროდ გაანადგურა... მშვიდობით, საყვარელო ამხანაგო ნოე! დადგება დრო და თქვენს საფლავზე, ჩვენ ხელმძღვანელ ვალოდიასან ერთად. მოვალთ და უკანასკნელ ვალს მოვიხდით. თქვენი თავგანწირულელება ჩვენთვის საუკეთესო ანდერძათ რჩება.

ილ. სალუქვაძე.

ქ. ეკსენკური.

◆

არტიმონ კიკვაძე

დღესაც თვალწინ მიდგას ახოვანი, მხარბეჭიანი არტიმონ; თითქოს მის ვაჟკაცურ ულვაშებიდან შემომცინის. ასე მგონია გუშინ იყო სამშობლოსაკენ რომ ვაცილებდი—ბრძოლის ველზე ამაყათ მიმავალს. ერთი წელია მას აქეთ: წელი მეტად მღელვარე და ალსავსე ქართველი ხალხის ვაითა და ვიშით. ერთი წელია, რაც არტიმონი სხვა ორ ამხანაგთან ერთად სამშობლო მთებს შეეხიზნა. მტერს პირისპირ შეხვდა და ვაჟკაცმა ვაჟკაცური სიკვდილი წილათ ირგო. იარაღით ხელში მშობლიურ მიწას დაენარცხა. უკანასკნელმა ის მიიღო და თავის გულში ჩაიკრა.



მის საფლავს სურების მთით მონაბერი სიო უგალობს და მთის მორაკრაკე წყარონი საიდუმლო ზღაპარს მოუთხრობს: «გამარჯვება ხალხს დარჩება. ბევრს ცოცხალს სჯობიხარ, იყუჩე, გათენდება»-ო. ბუნების ამ ჩურჩულს ბრძოლის ყიჟინა აგუბებს, ის იზრდება და ზვირთდება; ჯებირთა ტეხის ჟამი ახლოვდება, სადაც არის იხუვლებს—ტანჯვის ქვეყანა წაილეკება. და მაშინ, ჩემო არტიმონ ქართველი ხალხი სხვა გმირთა სახელებს შენს წმინდა სახელსაც ჩააქსოვს.

იყუჩე, ძმაო, გამარჯვების ჟამი მოიმართება.

შენი მეგობარი.

◆

აქვსენტი ფალავა

«კომუნისტი» იუწყება, რომ თფილისში გარდაიცვალა აქვსენტი ფალავა. ის არ იყო პოლიტიკური ადამიანი ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით. რომ მისი მოღვაწეობის დაფასებას შეუდგეთ; მაგრამ ის იყო ერთი იმ ძველ ქართველთაგანი, რომლის გული სამშობლოს მაჯისცემასთან ერთად ფეთქდა. ვინც განსვენებულს იცნობდა, ან მასთან საქმე ქონია—არ შეიძლება არ სთქვას, რომ ის იყო თავის სიცოცხლის გასწვრივ სპეტაქი და ხალხის მოამაგე, მისი ჭირის და ლხინის მოზიარე.

მიუხედავათ პოლიტიკის გარეშე დგომისა, ის ახერხებდა შავბნელ რეაქციის დროს თავისი თანამდებობის გამოყენებას პოლიტიკურ დევნილთა დასახმარებლათ. არა ერთი და ორი რევოლიუციონერი მოიგონებს მის ღვაწლს და დახმარებას...

აქვსენტის ოჯახური მდგომარეობა, სამი შვილის დაკარგვის შემდეგ, საშინელი ტრაღედიით დაბოლოვდა. მან დაკარგა ჩვენი მოძრაობის, ახალგაზდა თაობის საუკეთესო წარმომადგენელი—ჩვენი გოგიტა. თავზარ-დამცემი იყო ერთად-ერთი შვილის ჩეკისთა ხელით განგმირვა, მაგრამ განსვენებული ამ ტრაღედიასაც იშვიათი სიმტკიცით შეხვდა. ეს მისი უკანასკნელი და უწმინდესი მსხვერპლი იყო ერის სამსხვერპლოზე მიტანილი, რასაც ქართველი ხალხი ვერ დაივიწყებს...

ნაცნობი.

◆

გამოხმაურება ბოლშევიკების ჭორზე

—

საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლების კრება

საქართველოს პოლიტ. პარტიათა წარმომადგენლები—სოც. დემოკრატები, ნაც. დემოკრატები, სოც. ფედერალისტები და სოც. რევოლუციონერები—გაერთიანებულნი ანტიბოლშევიკურ ფრონტში, გაეცნენ რა გაზ. «პოს. ნოვ.»-ს № 3700-ში მოთავსებულ ბოლშევიკურ სააგენტოს—ტასის—მიერ გადმოცემულ საზიზღარ ცილისწამებას აღშფოთებით აღნიშნავენ, რომ ეს მორიგი ჭორი და ცილისწამება ბოლშევიკების მიერ გამოგონილია იმ განზრახვით, რომ სახელი გაუტეხონ ქართულ ეროვნულ მოძრაობას და მის მეთაურს ბ. ნ. ჟორდანიას. მაგრამ მტერი მოსტყუვდა ანგარიშში. ამ საზიზღარ საქციელს ოდნავადაც არ შეუძლია შეამციროს და შეასუსტოს ის დიდი ავტორიტეტი, რომელიც საქართველოს ეროვნულ მოძრაობას და მის მეთაურს მიანიჭა ისტორიამ. ხოლო ბოლშევიკების ინსინუაცია კი შევა ისტორიაში, როგორც ერთი დამახასიათებელი ფურცელთაგანი ჯალათების მუხანათურ ხერხისა.

ბოლოს პარტიათა წარმომადგენლობა უღრმეს პროტესტს აცხადებს «პოსლ. ნოვ.»-ს მიერ აღნიშნულ ცილისწამებას იმ სახით დაბეჭდვისათვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა მოხსენებულ გაზ-ის მე-3700 ნ-ში.

პარტიათა წარმომადგენლობა უცხოეთში უცხადებს ბ. ნ. ჟორდანიას ღრმა თანაგრძნობას იმ საზიზღარი ჭორის გამო, რომელიც მის წინააღმდეგ შეთხზეს ჩვენი ქვეყნის დამპყრობელებმა.

საქართველოს სოც. დემ. პარტიის საზ.-გარეთელი ბიუროს რეზოლიუცია.

საქართველოს სოც. დემ. პარ. საზღვარგარეთელი ბიურო უღრმეს აღშფოთებას გამოსთქვამს იმ საზიზღარ ცილისწამების გამო, რომელიც ბოლშევიკებმა მათი დეპეშათა სააგენტოს—ტასის საშუალებით ქართველი ერის და საქართველოს სოც. დემოკრატიის ბელადის, ნ. ჟორდანიას წინააღმდეგ გადმოისროლეს.

მოღალატე ქართველი კომუნისტები დარწმუნდენ რა იმაში, რომ საქართველოს სოც. დემ. პარტიის ნებისყოფა ბრძოლისადმი მოუდრეკელი შეიქმნა, ცთილობენ ეხლა ამ პარტიის და მისი ღირსეული მეთაურის მორალურათ გაშავებას. მაგრამ გათახსირებულნი მათი ცილისწამებით თავიანთ მიზანს ვერასოდეს ვერ მიაღწევენ. მათ მიერ ნასროლი ტალახი მათ უკანვე დაუბრუნდება და მათი შანტაჟი, გარდა უდიდესი ზიზღის გამოწვევისა, ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს ვერც უცხოეთში და ვერც საქართველოში. სოც. დემ. პარტიის და მისი სახელოვანი ბელადისადმი სიყვარული და პატივისცემა მეტათ ღრმათ არის ჩანერგილი ქართველი ხალხის გულში, რომ ის იქიდგან ჩვენმა მტრებმა ასე ადვილათ ამოგლიჯონ.

მტერმა კარგათ უნდა დაიმახსოვროს, რომ ჩვენი ქვეყნის განსათავისუფლებლათ მის წინააღმდეგ წარმოებულ სასტიკ ბრძოლაში საქართველოს სოც. დემოკრატიულ პარტიის ხელსძღვანელი მუდამ დაუღალავი მებრძოლი ნოე ჟორდანია იქნება.

საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაციის გამგეობის წერილი: «საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაციის გამგეობა ღრმად ააღელვა და აღაშფოთა ჩვენი ქვეყნის მტრის მიერ გავრცელებულმა საზიზღარმა ცილისწამებამ. ამ უმსგავსო და ბოროტ საქციელის აზრი მეტად ცხადია: თქვენი სახელის გატეხით მტერს სურს ჩირქი მოსცხოს და ლახვარი ჩასცეს იმ მაღალსა და დიად საქმეს, რომელსაც თქვენი მეთაურობით ემსახურება ქართველი ერი. მაგრამ ასე უსირცხვოდ გადმოსროლილი ცილისწამება სწორეთ წინააღმდეგს აღწევს: იგი მხოლოდ გააძლიერებს თქვენდამი საზოგადო სიმპატია-პატივისცემას და კიდევ უფრო მჭიდროთ შემოჰკრებს თქვენს ირგვლივ მთელ ქართველ ერს.

მიიღეთ ჩვენი უმხურვალესი სალამი დათანაგრძნობა.

ასოციაციის გამგეობის დავალებით
თავმჯდომარე ნ. ცინცაძე.

შვეიცარიაში მყოფ ქართველ მოქალაქეთა საზოგადოება: «... როგორც საპნის ბუშტი გაქრება ცილისწამება და დარჩება შეუბღალველი და აშკარა სახე ერის მოხუც წინამძღოლისა,—სახე სახელმწიფო მოღვაწის, სახელოვან მწერლის და ადამიანის, რომელმაც მთელი თავისი ძალღონე თავის მშობელ ერის სამსახურს პირნათლად შეალია»...

«დნის» რედაქციის წერილი: «ნოე ნიკოლოზის ძევ, გაეცნო რა ბოლშევიკების საზიზღარ გამოლაშქრებას თქვენს წინააღმდეგ, «დნის» სარედაქციო კოლეგიამ მომანდო გამოგიცხადოთ ჩვენი უღრმესი პატივისცემა და შეურყეველი რწმენა, რომ არავითარ წილისწამებას არ ძალუძს დაამციროს რუსეთის საზოგადოებრივ შეგნებაში წმინდა მოგონება თქვენი უმწიკვლო და თავდადებული პოლიტიკური მუშაობისა ჩვენში საერთო გამათავისუფლებელი ბრძოლის მრავალ წლების განმავლობაში. სიხარულით ვასრულებ რედაქციის დავალებას და გთხოვთ, ნოე ნიკოლოზის ძევ, მიიღოთ აგრეთვე ჩემგან პირადათ უწრფელესი თანაგრძნობა უმსგავსო თავდასხმის გამო.

ა. ფ. კერენსკი.

საქარ. ს. დ. მ. პარტიის პარიზის ორგანიზაცია: «... ერთსულოვნათ ვაცხადებთ: თქვენი წარსული მოღვაწეობა და ბრძოლა ქართველ მუშათა კლასის და ქართველი ერის გამოსაყვანათ დემოკრატიის და სოციალიზმის გზაზე თავისთავათ აქარწყლებს მოსკოვის აგენტების ამ ბრიყვულ თავდასხმას.

ჩვენი პასუხი კი, იქნება განცხადება, რომ ვერაგი მტრის თავდასხმის წინაშე ჩვენ ყველანი, განურჩევლათ, ერთი და განუყოფელი ვართ»...

საქ. ს. დ. მ. პარტიის ბერლინის ორგანიზაცია: «... ზიზღი განწირულთ; სიცოცხლე და გამარჯვება ჩვენს სასიქადულო ბელადს ნოე ჟორდანიას»...

საქარ. ს. დ. მ. პარტიის პრაღის ორგანიზაცია: «... გიგზავნის შენ მხურვალე სალამს, გიცხადებს თავის განუზომელ ნდობას და სიყვარულს, ზიზღი მტერს და ოკუპანტებს»...

—

უადგილობის გამო ჩვენ არ გვაქვს საშვალება მოვიყვანოთ სხვა მრავალი თანაგრძნობის წერილი, ამხ. ნოე ჟორდანიას მიერ მიღებული.

ამ მოკლე ხანში გამოვა ცალკე წიგნათ

ნოე რამიშვილის

უკანასკნელი ნაწარმოები, რომელიც განსვენებულმა
მისი დაღუპვის წინ დაამზადა გამოსაცემათ:

„დემოკრატიული სოციალიზმი“

წიგნი ეღირება 5 ფრანკი.

დაკვეთა შეიძლება «ბრძ. ხმის» რედაქციაში:
Rédaction de «l'Echo de la Lutte».
10. rue Jules Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France

Arpajon— Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*.

Le Gérant : René Toussaint.